კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ანა პაპაშვილი

კერძო სამართალი

მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი-ლევან დუნდუა

თბილისი

2020

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საკითხები,რომელიც საოჯახო სამართლის საკმაოდ საყურადღებო და მნიშვნელოვან საკითხებს უკავშირდება.

ნაშრომში განხილულია საკითხი,რომელიც ეყრდნობა, როგორც საქართველოს პრაქტიკის მაგალითებს ,ისე უცხო ქვეყნის პრაქტიკას.

ნაშრომი ეხება საოჯახი სამართლის ისეთ საკითხებს,როგორიც არის საქორწინო ხელშეკრულება,ქორწინება, ოჯახი,ცვლილებები, რომელიც ქორწინების ინსტიტუტმა განიცადა.

ნაშრომში წარმოდგენილია ქართველი იურისტების, ნოტარიუსების,ასევე უცხოელი იურისტების აზრები და შეხედულებები, მეუღლეთა უფლება - მოვალეობასთან დაკავშირებით.გადმოცემულია რეკომენდაციები მათი მხრიდან ,რომელსაც, რა თქმა უნდა, კარგი იქნება თუ ჩვენც გავითვალისწინებთ.

ამ კონკრეტული ნაშრომის მიზანი არის შევიმუშავოთ ახალი რეკომენდაციები და მივიღოთ პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებები ჩვენი კანონმდებლობისთვის.ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნაშრომში ქორწინების ინსტიტუტის როგორც ახლებურ ისე ძველებურ ასპექტებში განხილვას.

Annotation

In the work, there is discusses by the issues that are quite important in family law.

In the work, there is discusses by the issue, which is based on both examples of Georgian practice and the practice of a foreign country.

The work deals with issues of family law such as marriage contract, marriage, family, changes and explanations that are in the institution of marriage and it's undergone.

The work presents the views and opinions of Georgian lawyers, notaries, as well as foreign lawyers on the rights and obligations of spouses. Recommendations have been issued by them, which, of course, will be good if we take them into account.

This particular paper aims to develop new recommendations and to obtain the views of practising lawyers for our legislation.

სარჩევი

შესავალი 1

თავი 1. ოჯახის ცნება ქართულ სამართალში 4

1.1. ცნება „ოჯახის“ ისტორიული მიმოხილვა 4

თავი 2. ქორწინების ინსტიტუტი 8

2.1. ქორწინება 8

2.2. გარემოებები,რომელიც ქორწინებას აბრკოლებს 27

2.3. შეწყვეტილი ქორწინება 32

2.4. ბათილად ცნობილი ქორწინება 40

თავი 3. მეუღლეთა ურთიერთობები 43

3.1. სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობანი მეუღლეთა შორის 43

3.2. მეუღლეთა პირადი ურთიერთობანი 44

3.2. ქონებასთან დაკავშირებული ურთიერთობანი 47

თავი 4. საქორწინო ხელშეკრულების თავისებურებანი 52

4.1. საქორწინო ხელშეკრულება 52

4.2. ალიმენტი დაკისრების წესი 54

დასკვნა 56

გამოყენებული ლიტერატურა 62

შესავალი

საქართველოში საოჯახო კოდექსი 1970 წელს შეიქმნა.საოჯახო სამართალი ,სამართლის ცალკეული დარგია,რომელიც არეგულირებს ოჯახთან დაკავშირებით წარმოშობილ ყველა პრობლემას.ეს პრობლემა შეიძლება იყოს პირადი ან ქონებრი ხასიათის .მოგვიანებით გაუქმდა საოჯახო კოდექსი, რადგან მიღებულ იქნა ახალი სამოქალაქო კოდექსი.სამოქალაქო კოდექსის დასაწყიშივე ხაზგასმით არის გაწერილი,რომ საოჯახო უერთიერთობები ეს არის სამოქალაქო სამართლის ერთერთი ნაირსახეობა.

საოჯახო სამართალი მოდის იმ წუთიდან,რა წუთიდანაც კაცობრიობა არსებობს.ძველად არსებობდა ქალი,კაცი,მათ ჰქონდათ ოჯახი,სადაც რა თქმმა უნდა ასევე პრობლემები ჩნდებოდა.ეს პრობლემები რეგულირდებოდა კონკრეტული ჩვეულებებით.წლების შემდეგ ეს ყველაფერი ჩაანაცვლა კანონებმა და სამართლის ნორმებმა.სწორედ ეს სამართლის ნორმები არის საოჯახო სამართლის ნაწილი.

ზოგადად,საოჯახო სამართალი,როგორც წესი, არეგულირებს ოჯახის წევრებს შორის წარმოქმნილ ამა თუ იმ პრობლემას ,ეს პრობლემა შეიძლება იყოს როგორც პირადი, ისე ქონებრივი.პირველ რიგში მეუღლეებს შორის ხდება ისეთი დავები,რომელსაც მხოლოდ საოჯახო სამართლის ნორმები არეგულირებს და მისი გადაწყვეტა წეს-ჩვეულებებით, რა თქმა უნდა,აღარ ხდება.მთავარი მიზეზი ,რის გამოც მეუღლეთა შორის და ზოგადად ოჯახში პრობლემა წარმოიშობა, ეს არის ქონებრივი ხასითის დავები.ვის რა წილი შეხვდება,ვინ ვის რას უტოვებს და ა.შ.

ასევე განქორწინებაც,რომელშიც მტავარ როლს სწორედ საოჯახო სამართალი იკავებს.

აქედან გამომდინარე ,ვფიქრობ,რომ დღესდღეობით საოჯახო სამართალი და მისი ნორმები ერთ-ერთ მთავარ როლს იკავებს ჩვენს ცხოვრებაში,რადგან თუ

გვინდა,რომ სამართლიანად მოგვარდეს ყველა პრობლემა,რომელიც სწორედ ოჯახს ეხება,აუცილებელია გამოვიყენოთ საოჯახი სამართლის ნორმები.

ისიც აღსანიშნავია,რომ საოჯახო სამართალი გამოირჩევა გარკვეული თავისებურებებით.ასეთი ურთიერთობების უმეტესობა ძირითადად არ არის დამოკიდებული ამ ურთიერთობაში მონაწილე სუბიქტების ნებაზე.

დღესდღეობით სასამართლო პრაქტიკის როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეების გვაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით.კონკრეტული სამართლებრივი ნორმების გამოყენება ,შემდგომ ასე თუ ისე, შეიძლება უარყოფითად აისახოს საოჯახო დავებზე.ეს ყველაფერი საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესია.

როგორც სხვა ნებისმიერი კანონი და ნორმა ,საოჯახო სამართალის ნორმებიც,თანდათანობით იხვეწება და უფრო სრულყოფილი ხდება.როგორც ზემოთ ავღნიშნე ადრე მხოლოდ წეს-ჩვეულბები ჰქონდათ ასეთი პრობლემის მოსაგვარებლად,შემდგომ კი შეიქმნა კანონი,რომლის მიხედვითაც მოქმედებდნენ დავაში მონაწილე პირები.ძალიან მნიშვნელოვანია,რომ საოჯახო სამართალს დიდი ყურადღება მიექცეს,რადგან სახელმწიფო მაშინ არის ძლიერი,როცა თითოეული დავა რაც ხდება ამ სახელმწიფოში,მოგვარებული იქნება ზუსტად შესაბამისი ნორმით და რაციონალურად იქნება გადაწყვეტილება გამოტანილი.

ჩემს ნაშრომში, განხილული მაქვს ის საკითხები,რომლებიც დღესდღეობით არის პრობლემური და აღნიშნული მაქვს ის რეკომენდაციები, რომლითაც ეს პრობლემები უნდა გადავჭრათ.ჩემი აზრით, კონკრეტული რეკომენდაციები რაც ნაშრომში მაქვს გამოყენებული ,ამა თუ იმ ცნობილი იურისტის მეცნიერის აზრები,ცუდი არ იქნება თუ დღესსდღეობით მოქმედ საოჯახო სამართლის კანონში იქნება გამოყენებული,ისევ და ისევ იმისთვის,რომ დაიხვეწოს და უფრო სრულყოფილი გახდეს კანონი.მიზანი, რისთვისაც ავირჩიე ეს თემა არის ის,რომ ძალიან მაინტერესებს საოჯახო ურთიერთობები და მისი თავისებურებანი, სასამართლო გადაწყვეტილებები და იურისტების შეხედულებები ამ

საკითხზე.ვფიქრობ,საკმაოდ საყურადღებო თემაა თითოეული ჩვენგანისთვის,ოცდამეერთე საუკუნეში,ყველა ჩვენგანს უნდა შეგვეძლოს ნებისმიერი დავის გადაწყვეტა ,მხოლოდ კანონის ფარგლებში,ოღონდ ეს ნორმა, რა თქმა უნდა, ზუსტად უნდა იყოს მორგებული კონკრეტულ დავაზე.

ჩემი მიზანი ნაშრომის წერისას არის უფრო სიღრმისეულად გაგაცნოთ მეუღლეთა ურთიერთობები რომელიც სამართლებრივად რეგულირდება, ასევე ქორწინების შეწყვეტა ,ალიმენტი მეუღლეებს შორის, საქორწინო ხელშეკრულების შექმნა,თანაზიარი ქონების გაყოფის წესი, სამართლებრივი მიმოხილვა, რომელიც უკავშირდება საზღვარგარეთის მაგალითებს, ასევე შედარებები საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ამოცანაა რომ ზუსტად ეს საკიტხები გავაანალიზოთ და განვიხილოთ.ასევე გამოყენებულია ის მეთოდები,რომლებიც არის ისტორიული,და ისინი მიუთითებს, თუ როგორ განვითარდა მეუღლეთა უფლება მოვალეობები და ქორწინების ინსტიტუტის განვითარების სტადიები. საკმაოდ საინტერესოა, ძველი წეს- ჩვეულბები,ქორწინებებთან დაკავშირებით და ასევე განხილული მაქვს თუ როგორ ხდებოდა სწოედ ამ ჩვეულებებით კონკრეტული პრობლემის მოგვრება,როცა კანონი არ არსებობდა.როცა არავინ იცოდა სამართლის შეახებ და მინდა დაგანახოთ თუ რამხელა ადგილი უკავია დღეს კანონს ჩვენს ცხოვრებაში.როგორ დაიხვეწა და როგორ განვლო გზები,რომ დღეს ამს ახით ყოფილიყო ჩვენამდე.თუმცა ,რა თქმა უნდა ყველაფერი პრაქტიკაზეა დამოკიდებული და კიდევ და კიდევ შეიცვლება ეს კანონი,ყველა დარგში ,თუმცა ახლა საუბარი მაქვს საოჯახი სამართლის ნორმებზე და იმ კანონზე რომელიც მისგან წარმოშობილ პრობლემებს აგვარებს.ჩემი სამაგისტრო ნაშრომი შედგება

შესავალისაგან, ანოტაციისგან,4 თავისა და 10 ქვეთავისგან.ასევე შეიცავს დასკვნას და იმ ლიტერატურის ჩამონათვლის სიას,რომელიც წერისას იქნა გამოყენებული.

თავი 1. ოჯახის ცნება ქართულ სამართალში

1.1. ცნება „ოჯახის“ ისტორიული მიმოხილვა

სიტყვა ოჯახი არ არის ქართული წარმოშობის,ის თურქული სიტყვაა. ქართული განმარტებით იგი წარმოადგენს სახლს.როგორც ცნობილია,მისი სინონიმი იყო „სახლი“,რომელშიც ცხოვრობდა ქმარი,შვილი და ცოლი.შუა საუკუნეებში ტერმინი სახლის ცნება შეცვალა ოჯახის ცნებამ ,რომელიც ძირითადად დამყარებულია ცოლზე, ქმარზე და ნათესაობაზე.ივანე ჯავახიშვილის განმარტებით მეხუთე საუკუნის საქართველოში „სახლი“ მხოლოდ საგვარეულოს არ ნიშნავდა,ის იყო ერთცოლიანობაზე დამყარებული ოჯახი.[1]

ოჯახის ცნება არის სხვადასხვაგვარი.პირველი შეიძლება ეს იყოს სოციოლოგიური და ასევე შეიძლება იყოს სპეციალურ სამართლებრივი. „სოციოლოგიურის მიხედვით,ოჯახი არის პირთა ქორწინებაზე,ნათესაობასა და ბავშვის აღზრდაზე დაფუძნებული კავშირი.“[2]ოჯახის შექმნა ეს არის რწმენა იმისა,თუ როგორ შეიძლება ადამიანმა თავისი შრომით მიღწეული შემოსავალი მიზნის გარეშე არ დახარჯოს.როცა ოჯახი არსებობს,ეს შემოსავალი ხმარდება ოჯახის წევრებს ,რომელიც ამა თუ იმ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არის საჭირო.მიმაჩნია,რომ ოჯახის შექმნა პირველ რიგში ერთმანეთის სიყვარულზე უნდა იყოს დამყარებული და რაც ყველაზე მთავარია,რომელიც არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს არც-ერთ ოჯახის წევრს.ოჯახის წევრებს შორის აუცილებელია პატივისცემა.თუ ეს ორი მიდგომა ასერსებობს,მაშინ ოჯახი კარგად ფუნქციონირებს, რადგან სადაც სიყვარული და პატიივისცემა არ არის, იქ ყველა პრობლემა იჩენს თავს.

---

[1]ივ,ჯავახიშვილი,ენციკლოპედიური ლექსიკონი,მთავარი რედაქტორი რ.მეტრეველი.თბილისი 2002,გვ 516,597

[2]რ.შენგელია,ე.შეგელია,საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი,თბილისი 2015,მერიდიანი,გვ 11,12

რა არის ოჯახი?როგორ იქმნება ის? ქორწინება-ის წარმოადგენს ოჯახის შექმნის უძველეს საფუძველს.დღესაც კი ქორწინება ისევ ინარჩუნებს თავის სტატუსს და მისი წყალობით არაერთი ოჯახი იქმნება.

ოჯახის შექმნა ქორწინების გარეშეც არის ნებადართული,ეს ორ ადამიანზეა დამოკიდებული ისინი იქორწინებენ თუ არა,მხოლოდ და მხოლოდ მათ ნებაზეა დამოკიდებული,თუმცა სამართლებრივად,რა თქმა უნდა, ქორწინებით იქმნება ოჯახი,რომელიც მოწესრიგდება შემდგომ სპეციალური კანონებით,თუ ამის საჭიროება იქნება.ოჯახში,სადაც ქალი და კაცი ცხოვრობს და რომელიც ქორწინების შედეგად შეიქმნა,შემდგომი ეტაპი არის შვილი. ეს ურთიერთობები ქმნის საოჯახო ურთიერთობებისმთავარ ბირთვს, რომელიც გულისხმობს,მეუღლეებს შორის ურთიერთობას და ასევე შვილებსა და მშობლებს შორის.[3]

ლუის მორგანი,რომელიც,უდიდესი მკვლევარი იყო ამბობს რომ-„არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ ჰქონია,ისეთი მდიდარი და შინაარსიანი ისტორია,არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხაგრძლივი და მრავალმხრივი ცვლის შედეგები,როგორც ოჯახს,რომელმაც თანამედროვე სახის მიღებამდე განვითარების დიდი გზა განვლო.ოჯახი აქტიური ელემენტია ,რის გამოც არასდროს ის ერთ ადგილზე არაა გაქვავებული,არამედ დაბალი ფორმიდან გადადის უმაღლესში,იმ ზომით,რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან ვითარდება უმაღლესი საფეხურისკენ“[4]

ოჯახში პირველ საფეხურზე იყო,ოჯახი,რომელიც ახლობელი იყო და სისხლით ნათესავი. ცოლისა და ქმრის ურთიერთობა იკრძალებოდა წინაპრებსა და შთამომავლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის,ასევე და-ძმას შორის. [5]ეს იყო ნათესაური კავშირების დაცვა და მომავალ თაობაზე ზრუნვა.

---

[3]რომან შენგელია,ეკატერინე შენგელია,საოჯახო და მემკვიდრეობის სამარტალი.,თბილისი 2015.,2015.,გვ11,12

[4] Л. МОРГАН,. ДРЕВНЕЕ ОБШЕСТВО. М.,1936. С 2002

[5] ჩიკვაიშვილი, შ. საოჯახო სამართალი. თბილისი.,2004, გვ 38.

მოსახლეობის თანდათან ზრდა იწვევდა ადამიანების ერთმანეთთან უფრო დაახლოებას. ჩამოყალიბდა ცოლ-ქმრობის ინსტიტუტი,რომელიც ქმნიდა ოჯახს. ცოლი და ქმარი გულისხმობს,რომ ერთი ქალი და ერთი კაცი ქმნიან ოჯახს.სწორედ ამ ეტაპზე, როცა უკვე ნათლად იყო ჩამოყალიბებული, ქალისა და კაცის ურთიერთობა დაიწყო მატრიარქატის ეპოქა. მატრირქატი ეს არის ისეთი მდგომრეობა, როცა ქალი არის უპირატეს როლში. ეს გამოიხატებოდა მის საქმიანობაში,იგი ეწეოდა მეურნეობას, იყო მესაქონლე, მშენებლი, მიწათმოქმედი. თუმცა, თანდათანობით როცა ყველაფერი განვითარდა ქალის როლი ნელ-ნელა შესუსტდა და პირველი ადგილი დაიკავა კაცმა. ანუ გადავიდნენ პატრიარქატულ ეპოქაში,სადაც კაცი იყო პირველ ადგილას და მისი ქმედება იყო უპირატესი. პატრიარქატულმა ეპოქამ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ქალის უფლებებზე. უფლებებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას,რომ პატრიარქარულ ეპოქაში,ქალის ნება სურვილზე არ იყო დამოკიდებული ქმრის ოჯახიდან წამოსვლა.ის უნდა ყოფილიყო ქმრის ერთგული და ეს მოთხოვნა მკაცრად უნდა შეესრულებინა.[6]

თვალს თუ გადავავლებთ ფეოდალურ ეპოქას,იმ საზოგადოებაში,ქორწინება სულ სხვა რამ იყო.ეს იყო ჩვეულებრივი გარიგება,რომლიც არანაირად არ იყო დამყარებული პირად სურვილებსა და გრძნობებზე.ეს იყო დამყარებული გვარიშვილობაძე და მატერიალურ საკითხებზე.ასევე არ შეიძლებოდა წყვილები განქორწინებულიყვნენ. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 66-მუხლი: „ცოლი და ქმარირაგინდ სძულობდნენ ერთმანეთს,უბრალოდ გაყრა არ იქნების,კათოლიკოზმა წვრთნით უნდა შეარიგოს“[7]

ბექას სამართალი გვეუბება,რომ მამაკაცის მრუში საქციელის გამო ცოლს არ შეეძლო მისთვის განქორწინება მოეთხოვა ,ასევე არანაირი უფლება არ ჰქონდა ამ ყველაფერზე მას რაიმე პრეტენზია გამოეთქვა და ქმრისთვის რაიმე ცუდად

[6]მ.ბექაია,ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები.,თბილისი.,1980,გვ16
[7]ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი,თ ენუქიძის მიერ დამზადებული ტექსტით,გამოკვლევათა და ტერმინთა საძიებელი,თბილისი.,1955

ეწოდებინა.მაგრამ„თუ ქალმა ღმერთი შერისხდეს მისითა ენაჭარტალობითა,უსირცხვილობითა,ქმარი დააგდოს ასეთი ქმედებისთვის მამაკაცთან შედარებით ორჯერ მეტი ქონებრივი პასუხისმგებლობა უნდა გასწიოს“[8]

ოჯახი-ჩემთვის პირადად საკმაოდ ბევრის მთქმელია ეს სიტყვები,რადგან ოდითგანვე ქართველი ხალხი და ჩვენი ისტორია განიხილავდა მის არსს.საკმაოდ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან ოჯახი და მამული,მიწა რომელიც ეკუთვნის ოჯახს,ასევე მათთან დიდ როლს თამაშობს ქორწინება.ოჯახი ძალიან დიდ როლს თამშობს ადამიანის აღზრდაში და მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.თანდათანობით იხვეწება ის ფუნქია,რომელსაც ოჯახი ეწევა.ეს არის აღზრდა.ნელ- ნელა ესეც ვითარდება ყველაფერთან ერთად და ვფიქრობ,რომ ოჯახი აუცილებლად დიდ როლს თამაშობს ადამიანის ჩამოყალიბებაში. იურისტები ცდილობენ მოგვაწოდონ სწორი ცნება ოჯახის შესახებ.

პ.სედუგინი ოჯახის ცნებას განმარტავს,როგორც პირთა განსაზღრულ ჯგუფს,რომელიც ეფუძნება ქორწინებას,ნათესაობას,ერთად ცხოვრებას და საერთო მეურნეობის გაძღოლას,მომავალი თაობის აღზრდას და ურთიეთ მხარდაჭერას.[9]

ი. კუზნეცოვას აზრით: „საოჯახო კანონმდებლობაში ოჯახის ცნების არარსებობა შემთხვევითი არ არის.სამართლებრივ აქტებში ოჯახის ცნება უკავშირდება ოჯახის წევრთა წრის დადგენას,რომელიც ქმნის მის შემადგენლობას და განისაზღვრება სხვადასხვანაირად.ამიტომ „ოჯახის“ ცნების კანონმდებლობაში გათვალისწინებამ და იმ პირთა ამომწურავი ჩამონათვალის დადგენამ,რომლებიც ოჯახის წევრთა რიცხვს განეკუთვნებიან,შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნულ პირთა ულებების დარღვევა ან ოჯახის წევრთა წრის უსაფუძვლო გაფართოება.“[10]

---

[8]ი დოლიძე.ძველი ქართული სამართალი,.თბილისი.,1953,გვ 91

[9]П. Седугина, комментарии к семеиному кодексу РФ под обин ред Крашениковаб. М., 1997.,С 2
[10]кузнесова, *комментарии к семеиному кодексу рф омб ред .* м., 1996 с 10)

თავი 2. ქორწინების ინსტიტუტი

2.1. ქორწინება

ქორწინება,ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და კარგად გააზრებული ნაბიჯი ადამიანის ცხოვრებაში. ოჯახის მსგავსად ის საკმაოდ რთული ფეომენია,რომელშიც როგორც სამართლებრივად ისე ზნეობრივად ბევრი პრობლემები წარმოიშობა.როგორც ავღნიშნე ქორწინება ქალის და კაცის სურვილზე დამყარებული გადაწყვეტილებაა,რომელთაც აკავშირებთ ურთიერთპატივისცემა და სიყვარული.კიდევ ერთხელ განვემორდები და ვიტყვი, რომ სიყვარული ეს არის უნიკალური ფენომენი, რომლითაც შეგიძლია გააბედნიერო შენს გვერძე მყოფნი, ამიტომ თუ ოჯახის შექმნისას სიყვარული არ არსებობს, ის ოჯახი ვერ იქნება ბედნიერი, ვერ იქნება სრულყოფილი. ქორწინებას აქვს თავისი წესები,რომელსაც არეგულირებს სამართლებრივი ნორმები. რომში არსებობდა ორი ტიპის ქორწინება: .კანონიერი რომაული ქორწინება,როცა ორივე მხარე რომაელი იყო;

.რომაელ მოქალაქეთა ქორწინება პერეგრინებზე.რომაელთა უფლებები განისაზღვრებოდა რომის სამოქალაქო სამართლით. ასევე რომის სამართალი იუწყება ისეთ ქორწინებას, რომელიც არ იყო სამართლებრივი და მას კონკუბინატი ეწოდებოდა.[11] რომი ოდითგანვე ცნობილი იყო,თავისი წესებით ქორწინების შესახებ.მთავარი პირობა იყო,რომ ცოლიც და ქმარიც თანახმა უნდა ყოფილიყვნენ ქორწინებზე,ასაკი უნდა ყოფილიყო აუცილებლად დაცული,რომელიც ქალბატონებისთვის თორმეტ წელს ასეადგენდა,მამაკაცებისტვის კი თოთხმეთი წელი.არ შეიძლებოდა ქალი ან კაცი პარალელურად სხვა ქორწინებაში ყოფილიყო.არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოყილიყო ნათესაობა ქალსა და კაცს შორის რომლებიც აპირებდნენ დაქორწინებას.

[11] ი. პერეტერსკი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია,. 1947, გვ 144-145.

ქორწინების შედეგად ქალი და შვილები უნდა ყოფილიყვნენ ქმრის ძალაუფლების ქვეშ. ქმარს უფლება ჰქონდა,საკუთარი ცოლისთვის რაც მოესურვებოდა ის გაეკეთებინა.თუ მისი ფიზიკურად განადაგურება მოუნდებოდა,ამის უფლებაც კი ჰქონდა.როცა ქალი თხოვდებოდა,ის მხოლოდ ქმარს ემორჩილებოდა და მამასთან და მის ოჯახთან საერთოდ კარგავდა კონტაქტს და კავშირს. ცოლის ქონება შედიოდა ქმრის მფლობელობაში და მას აღარ შეეძლო არანაირი ურთიერტობის წამოშობა.მაგალითად როგორიცაა გარიგების.მხოლოდ ქმარი განაგებდა ამ საკითხს. მაგრამ, დროთა განმავობაში ქმრის ასეთი ძალაუფლებისკენ მიდრეკილი დმგომაროება ნელ- ნელა დაიხვეწა და უკეთესობისკენ შეიცვალა.[12]

როდესაც ქალი თხოვდებოდა,ქორწილამდე მას ქმარი აძლევდა სხვდასხვა ძვირფასეულობებს.ქალებს კი მისი მშობლები ატანდნენ მზითებს,რომელიც შემდგომ გადადიოდა ქმრის მფლობელობაში.მაგრამ იყო შემთხვევები როცა,ქალი თუ დაქვრივდებოდა,იგი უკან მიიღებდა მზითევს,ასევე თუ ქორწინება შეწყდებოდა რაღაც მიზეზების გამო,მაშნაც შეეძლო დაებრუნებინა თავისი ნივთები და მის მფლობელობაშ ყოფილიყო.[13]

ძალიან მნიშნელოვანია ის საკითხი თუ რა ხდებოდა როცა,ქმარი თავისი ინიციატივით შორდებოდა ცოლს ,რა ბედი ეწეოდა საქორწინო საჩუქრებს? ასეთ შემთხვევაში საჩუქრები ისევ ცოლის მფლობელობაშ გადადიოდა და მას რჩებოდა.

ძველ რომშიმიყო შემთხვევები როცა ქორწინების შეწყვეტა რაღაც კონკრეტული მიზეზების გამო ხდებოდა.ეს მიზეზები იყო: ერთერთი მეუღლე თუ გარდაიცვლებოდა, თუ მოხდებოდა განქორწინება,თუ ერთერთ მეუღლეს მოქალაქეობის ჩამორთმევა ხდებოდა, და ასევე თუ მოხდებოდა ერთერთის დაპატიმრება.

---

[12]ვ.მეტრეველი.რომის სამართალი(საფუძვლები),.თბილისი.,2013,გვ103
[13]ვალერიან მეტრეველი.რომის სამართალი(საფუძვლები),.თბილისი.,2013,გვ103

განქორწინების ინსტიტუტს მინდა შევეხო რომელიც თავისი სპეციფიკა ჰქონდა.ის ყოველთვის ერთნაირი არ იყო.ჩვეულებრივად განქორწინების უფლება ჰქონდა ქალსაც და კაცსაც,ასევე როცა მონაზვნად იქნებოდა აღკვეცილი.

რა თქმა უნდა,ჩვენი ძველი ქართული ისტორიაც უნდა განვიხილოთ ,სადაც ქორწინების მზიანი იყო გამრავლება ,ასევე შენარჩუნება კაცობრიობისა.ნათლად არის გაწერილი,რომ ქორწინების ერთ-ერთი მიზანი იყო ცოლ ქმრის მეგობრობა,ურთიერთ პატივისცემა და დახმარება.კაცი საკმაოდ დიდ როლს თამაშობდაისევე როგორც რომში,თითქმის ძალაუფლება იყო მის ხელშიდ ა ქალის უფლებები ამ შემთხვევაშიც არ იყო განვითარებული.

რაც შეეხება ჩვენ რელიგიას,რომელიც ,ვფიქრობ,ერთ-ერთი მთავარია ჩვენს ჩხოვრებაში,და დიდ როლს თამაშბს ქორწინების ინსტიტუში.როცა ორი ადამიანი დაქორწინებას გადაწყვეტდა ორივე მხარე აუცილებლად ქრისტიანი უნდა ყოფილიყო,თუ არ იყვნენ ქრისტიანები,დაუშვებელი იყო მათი ქორწინება,რადგან ვიცითმრომ ქორწინება ეს აარის ერთერთი საიდუმლო,ის რელიგიური რიტუალიც არის,ისევე როგორც სამართლებრივი რიტუალი.რელიგიური საიდუმლოებაა ქისტიანობა.თუმცა იყო შემთხვევები როცა ხდებოდა არაქრისტიანს და ქრისტიანს შორის ქორწინება,თუმცა ბავშვის შეძენის შემდგომ აუცილებლად ეს ბავშვი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო. არ შეიძლებოდა არავითარ შემტხვევაში ნათესაური კავშირი ყოფილიყო მექორწინეებს შორის,არც აღმავალი არც დაღამავლი კავშირი.ასაკს რაც შეეხება,როგორც ავღნიშნე რომში ქალის ასაკი თორმეტი წელი იყო ხოლო საქართველოშიც თორმეტი წელი ითვლებოდა საქორწინო ასაკად. ხოლო მამაკაცები აუცილებელი იყო,რომ თხუტმეტი ან თექვსმეტი წლის ყოფლიყვნენ. აქედან გამომდინარე კარგად ჩანს,რომ როგორც ძველ რომში ისე საქართველოში,იყო დამთხვევები კონკრეტულ შემთხვევბთან დაკავშირებით. მაგალითად როგორიცაა ასაკი ,წეს- ჩვეულებები,ქალის როლი ოჯახში.თანდათანობით ყველაფერი დაიხვეწა და ქალის ასაკმაც ,ისევე როგორც ვაჯის ასაკმა,საკმაოდ მოიმატა და აღარ არის

ასეთი პატარა. დამეთანხმებით,რომ 12 წელი ძალია პატარაა ქალისთვის,რომ მან ოჯახი შექმნას.

ტრადიცია, რომელიც დღესაც შემორჩენილია და არაერთი წყვილი იყენებს ეს არის ნიშნობა. საქართველოში დანიშნული ქალს თუ მიატოვებდნენ „დაგდებდნენ“ ეს იყო დასჯადი ქმედება და ისჯებოდა „სრული სისხლის გადახდით“.[14]

როგორც ავღნიშნე ქორწინება ეს იყო ორი მნიშვნელოვანი ფაქტი.როგორც რელიგიურ სამყაროში ისე იურიდიულ სამყაროში.

რომისგან განსხვავებით საქართველოში ქალებისთვის არ იყო მზითვი.ეს მიუთითებს იმ ფაქტს რომ ქალბატონები საკმაოდ დაჩაგრული ფენა იყო.თუმცა მოგვიანებით მეცხრე საუკუნეში ნელ ნელა დაინერგა მზითვის გადაცემა.აი ეს მიუთითებს რომ ამ დროს ქალი ნივთი აღარ იყო და ის იყო ჩვეულებრივი ისეთივე ადამიანი და პიროვნება როგორც მამაკაცი.[15]

რა არის ოჯახის საფუძველი? რა თქმა უნდა ქორწინება,რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული სახელმწიფოსთვის.მაშინ არის სახელმწიფო ძლიერი,როდესაც ყავს ძლიერი ოჯახები, გამრავლებული ოჯახი და მტკიცე რაც მთავარია.რა ითვლებოდა ძველ საქართველოში განქორწინების მიხეხად? ეს იყო ცოლის ცუდი საქციელი,რომელიც გულისხმობს მრუშობა, ასევე თუ ცოლი მუცელს მოიშლიდა,ყველამ კარგად ვიცით ფილმი ნატვრის ხე,სადაც მარიტა ვირზე შესვეს და ტალახს ესროდნენ.სწორეს ასე იქცეოდნენ ძველად.ასე გამოხატავდნენ ისინი განქორწინებას და ამს ახით ამცირებდნენ ცოლს.

საყურადღებოა ის ფაქტიც,რომ თურმე ქალის სნეულებაც შეიძლება ყოფილიყო განორწინების მიზეზი,ქალის უშვილობა.თუმცა ყველა პრობლემას ქალს

---

[14]გიორგი ნადარეიშვილი.ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია,.თბილისი.,2005,.გვ153-154

[15]ივანიშჩევი.თხზულებანი,კიევი,1876,გვ 110

აწერდნენ.თუ წყვილს შვილი არ ყავდათ ესეიგი ეს აუცილებლად ქალის ბრალი იყო.ესეც მიუთითებს იმ ფაქტს რომ საკმაოდ დაჩაგრული იყო ქალი.

რაც შეეხება ქალწულობას.ესეც ერთ -ერთი მიზეზი იყო განქორწინების.ქორწინებამდე თუ პატარძალი ქალწულობას დაკარგავდა ეს მრუშბად ითვლებოდა.ასევე განქორწინება შეიძლება მომხდარიყო,თუ ერთ ერთი მხარე მონახვნად ან ბერად აღიკვეცებოდა.

საქართველოში ქორწინების შეყვეტის საფუძველი იყო ისეთი დანაშაული,რომელიცსქესობრივზნეობას სრულიად ეწინააღმდეგებოდა.ეს იყო სოდომური ცოდვა, რომელიც მამათმავლობის სახელით არის ცნობილი.[16]

რა ხდებოდა სამკვიდროს მიღების დროს.ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ ქალიც და ვაჟიც სამკვიდროს მიღების დროს .გასაკვირია ეს,რადგან იმ დროში,ქალი საკმაოდ დაჩაგრული იყო და საერთოდ არ იყვნენ თანასწორნი,მაგრამ მემკვიდრეობის მიღების დროს მამისგან,ისინი თანასწორნი იყვნენ.

ქმარს ნებისმიერ დროს შეეძლო ცოლი მიეტოვებინა,ძალიან მინიმალური სასჯელით ისჯებოდა ის ამისთვის,ეს იყო ნახევარი სისხლის გადახდა,ხოლო ქალი თუ იგივეს იზავდა მთელი სისხლის გადახდით ისჯებოდა. ძველ საქართველოში იყოწეს-ჩვეულება,რომლის მიხედვითაც,ქალი იყო მშვიდობის სიმბოლო,და მისიგამოჩენა, მიასწავლებდა მეომარი მხარეების შერიგებას.[17]

საქართველოს კანონდმებლობით ,ოჯახის წევრებად ითვლებიან ცოლი და ქმარი .ასევე კანონი ადგენს მეუღლის განმარტებას,თუ ვის შეიძლება ეწოდოს ეს სახელი.მეუღლეები არიან ქალი და კაცი,რომელიც არიან თვრამეტი წლის და თავიანთი ქორწინება დარეგისტრირებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით.სწორედ ამ რეგისტრაციის შემდეგ შეგვიძლია უკვე ვიმსჯელოთ

[16]გიორგი ნადარეიშვილი .ქართული სახელმწიფო და სამართალი,.თბილისი.,2005,გვ 156
[17]გიორგი ნადარეიშვილი.ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია,.თბილისი.,2005,გვ 155

მათ სამართლებრივ უფლებებზე და მოვალეობებზე. არის ქვეყნები სადაც,მქორწინებელტა ასაკი არის უფრო დაბალი ვიდრე ჩვენს ქვეყანაში.მაგალითად 15 წელი.ასევე შეიძლება უფრო დაბალიც იყოს.თუმცა გაეროს მიაჩნია,რომ თხუთმეტი წელი საკმაოდ პატარაა იმისთვის,რომ ქალი და კაცი დაქორწინდეს.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს,რომ ქორწინებისთვის არ არის აუცილებელი დავარეგისტრიროთ შესაბამის ორგანოში და კანონით მინიჭებული გზით იყვნენ ცოლ ქმარი.მათი აზრით მთავარია ქალის და კაცის ურთიერთობა,როგორ უგებენ ისინი ერთმანეთს . სწორედ აქედან გამომდინარე „არა რეგისტრირებული ქორწინებაც ქორწინებაა და არა თანაცხოვრება“. [18]

ძალიან სინტერესოა სახელმწიფო რას ფიქრობს ამ საკითხზე. მათი აზრით,აუცილებელია ქორწინების რეგისტრაცია,რადგან თუ ეს პროცედურები არ არის გავლილი,შესაბამისად ოჯახიც არ წარმოიშობა.დღეს საქართველოში საკმაოდ ბევრი ოჯახია ისეთი,რომელიც აღნიშნავს,რომ რეგისტრაცია და ასევე თუნდაც ჯვრისწერა არ არის აუცილებელი იმისთვის რომ ოჯახი იყოს შექმნილი.მათი აზრით, მთავარია წყვილები ერთმანეთზე ზრუნავდნენ ,გააჩნდეთ ურთიერთ პატივისცემა. მაგრამ, მხოლოდ და მხოლოდ მეუღლეების უფლებაა გადაწყვიტონმათი ქორწინების ბედი.იქნება თუ არა ის რეგისტრირებული.[19]

ჩვენს სამოქალაქო კოდექსში ძუსტად არის განსაზღვრული ქორწინების დეფინიცია.1106-ე მუხლი გვეუბნება,რომ ქორწინება ეს არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის კავშირი,რომელიც დარეგისტრირებულია სამოქალაქო სააგენტოს რეესტრის სპეციალურ სამსახურში.[20]ეს ურთიერთობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და ორივეს სურვილზე დამოკიდებული.დაუშვებელია,რომელიმე

---

[18]А.А Пушкин, *Деиствуюшее законода тельство о браке и семье* , Харьков., 1992 с 141

[19]რ.შენგელია.ე შენგელია.საოჯახო სამართალი,.თბილისი,.2004

[20]საქართველოს პარლამენტი.,საქართველოს კანონი,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106 მუხლი.,საქართველოს პარლამენტის უწყებანი,31,24/07/1997.https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=109

მხარე წინააღმდეგი იყოს და ქორწინება მაინც დადგეს.ეს უკვე დანაშაულია.აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს,რომ კოდექსში დაწერილია,რომ ქორწინება ეს არის მხოლო და მხოლოდ ქალის და კაცის კავშირი. ამ შემთხვევაში მოიაზრება რომ ქორწინება ეს არის ფაქტი,რომელიც არის სამართლებრივი ,და სწორედ ამ ქორწინების შედეგად,მეუღლეებს შორის ჩნდება ურთიერთობები.უხეშად ,რომ ვთქვა ქორწინება ეს არის პირებს შორის გარიგება,რადგან ორივე მხარე თანახმაა კონკრეტულ საკითხზე და მათ შორის წარმოიშობა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები.მოკლედ რომ ვთქვათ ეს არის სამართლებრივი ხელშეკრულების ერთ-ერთი ტიპი.როდესაც პირები იმყოფებიან ქორწინებაში,ჩნდება ძალიან ბევრი უფლება მოვალეობები,რომლის შესრულებაც ორივე მხარეს თანაბრად ევალება.ხშირ შემთხვევაში მეუღლეები მიმართავენ,ხოლმე საქორწინო კონტრაქტს,რომელიც ქორწინების დროს დგება და პირობებს თვითონ მექორწინეები ადგენენ. ამ საკიტხს ცოტა მოგვიანებით განვიხილავ,თუმცა ფაქტია,ის,რომ ძირითადი პრობლემა რაც მეუღლეთა შორის წარმოიშობა ქორწინების პერიოდში ,ეს არის ქონებრივი და ან პირადი პრობლემები.ჩემი აზრით,წინასწარ უნდა შეადგინოს ორივე მხარემ ეს პირობები,რომ შემდგომში სასამართლომდე არ მივიდეს ეს დავები.ქმარსაც და ცოლსაც ,ორივეს აქვს სამართლებრივი სტატუსი ქორწინების პერიოდში.როდესაც სამართლებრივად ვმსჯელობთ,იმის თქმა,რომ ტრადიციული უფლება მოვალეობები გააჩნიათ ქალს და კაცს მგონი არასწორი იქნება. ტრადიციულში შეიძლება იგულისხმებოდეს უბრალოდ პატივისცემა ან ურთიერთ გაგება მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა უფრო მნიშჰვნელოვანი საკითხებია საყურადღებო ქორწინების დროს.

როდესაც დგება საკითხი,რომ უნდა მოხდეს ქორწინება ქალსა და კაცს შორის,ეს ნიშნავს ავტომატურად იმას,რომ ისინი ქმნიან ოჯახს. დღესდღეობით საქართველოში არ არის დაშვებული ერთსქესიანთა ქორქწინება,ამიტომ როცა სრულყოფილ ოჯახზე ვსაუბრობთ,იქ უნდა იგულისხმებოდეს,ქალი კაცი და შემდგომში უკვე ბავშვი.

რა პრინციპები უნდა დავიცვათ როდესაც ქორწინების საკითხს ვეხებით? პირველ რიგში,მთავარი პრინციპი არის თავისუფლების,რადგან ქალის და კაცის ქორწინება არის ნებაყობლობითი და არავის არ აქვს უფლება რომელიმე მხარეს ძალდატანებით მიაღებინოს ეს გადაწყვეტილება.როგორც ამ სამართლებრივი ურთიერტობის დაწყებაა მათ ნება სურვილზე დამოკიდებული,ისეა ამ ურთიერთობის შეწყვეტაც მათ ნებაზე დამოკიდებული. ქორწინება,სადაც ფიზიკური ან ფსიქიკური მოქმედების კვალი ჩანს,არ შეიძება დარეგისტიტრებული იყოს,ამიტომ ის ბათილია და არ კანონით იკრძალება მისი დარეგისტრირება. [21] როდესაც ვსაუბრობთ ნებაყოფლობით ურთიერთობაზე,რომელსაც მექორწინეები წყვეტენ,ძალიან მნიშვნელოვანია რომ დაცული იყოს მათი თანასწორუფლებიანობა.საოჯახო სამართალში უნმნიშვნელოვანესი პრინციპია თანასწორუფლებიანობა.ეს იმას ნიშნავს,რომ ქალიც და კაციც არის თანასწორი ერთამენეტს წინაშე და როგორც შეუღლებამდე იყო მათი ცხოვრება ისევ ისე უნდა გაგრძელდეს.ქალმა უნდა იმუშაოს,აკეთოს თავისი საქმე,ასევე კაცმაც იიგივე.ქორწინების ინსტიტუტი ამას აარ უშლის ხელს და არ ამბობს იმას,რომ ქალი დაჩაგრულია როცა იგი ქორწინებაში იმყოფება.არცერთი წუთი არ უნდა იყოს ქალი უუფლებო. მეუღლეები არიან თანასწორნი და ორივე ცალ -ცალკე არის სხვადასხვა პიროვნება. მეუღლეებს დაქორწინებამდე შეიძება გააჩნდეთ რაიმე სახის ქონება,რომელიც მის საკუთრებად ღცება და ქორწინება ამაში ხელს არანაირად არ უშლის.რაც შეეხება დისკრიმინაციას-კატეგორიულად დაუშვებელია,ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია მეუღლეებს შორის.ქალი და კაცი,სარგებლობენ თანაბარი უფლებებით ოჯახში და არ შეიძლება რომელიმე მათგანმა მასზე იძალადოს,ან დასცინოს,ან რაიმე ისეთის გაკეთება დაავალოს რაც მას არ უნდა.ეს არ ესება მხოლოდ კაცს.ეხება ქალსაც,რადგან,სამწუხაროდ დღეს მთელ მსოფლიოში ხშირად არის ის პრობლემა რომ ცოლები საკმაოდ ჩაგრავენ ქმრებს და დისკრიმინაციის მსხვრეპლნი არიან ისინი.როდესაც მეუღლე სხვა ეროვნების არის,არ აქვს

[21]შ.ჩიკვაიშვილი.საოჯახო სამართალი,.თბილისი.,2004,მერიდიანი

მნიშვნელობა ეს ცოლი იქნება თუ ქმარი,აუცილებელია ერთმანეთს პატივი სცენ და ოჯახში წყვილებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თავიანთი რელიგით თამამად იცხოვრონ.არ შეიძლება დაცინვა,თუნდაც გარეგნობის გამო,ნებისმიერი სახის ძალადობა.ეს იქნება სიტყვიერი თუ ფიზიკური.უამრავი ქალი იტანჯება და ძალადობის მსხვერპლნი არიან,თუმცა ამის გამხელა უჭირთ რადგან შიში აქვთ საკუთარი ქმრების და ოჯახის.სადაც ასეთი სიტუაციაა,დამეთანხმებით,რომ ის უკვე ოჯახი აღარაა,რადგან ოჯახში უნდა სუფევდეს ურთიერთ პატივისცემა,ურთიერთ გაგება და ძალიან ბევრჯერ ვიტყვი ამ სიტყვას რომ მთავარია სიყვარული.ოჯახში სადაც სიყვარულია,ის სულ სხვანაირად იმართება,სულ სხვანაირი პიროვნებები ყალიბდებიან იქ.

როგორც ავღნიშნე,ქალიც და კაციც უნდა მუშაობდეს და ჰქონდეს თავისი კარიერა ,რა თქმა უნდა თუ მათ ეს უნდათ.ესეც მათ ნება სურვილზეა დამოკიდებული.პროფესია რა იქნება ქმრისთვის თუ ცოლისთვის ეს მხოლოდ მათი საქმეა,მას ირჩევენ ქორწინებამდე და სავსებით შესაძლებელია აირჩიონ ქორწინების შემდეგაც.როგორია სახელმწიფოს როლი ამ შემთხვევაში?მეუღლეთა ურთიერთობის მოწესრიგებაში და ზოგადად მათი რეგისტრაციისთვის,საკმაოდ დიდი როლს თამაშბს სახელმწიფოს ორგანოები,რადგან მხოლოდ სურვილი ქალის და კაცის ქორწინების შესახებ არ არის საკმარისი.აუცილებელია მათ თავიანთი სურვილი დაარეგისტრირონ.ეს ყველაფერი მიზნად ისახავს,რომ მომავალში გარკვეული იყოს მეუღლეთა ქონებრივი უფლებები,ასევე შვილების პირადი თუ ქონებრივი უფლებები,რომლის დაცვასაც ემსახურება სწორედ ეს რეგისტრაცია.სახელმწიფოს როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია,ის ამ რეგისტრაციით ატარებს კვლევებს,რა მდგომარეობაა სახელმწიფოში,რამდენი ქორწინება დარეგისტრირდა,რამდენი განქორწინება მოხდა. სამოქალაქო კოდექსში აღწერილია, რომ ის უფლება მოვალეობები, რისი მოთხოვნის უფლებაც აქვთ მეუღლეებს წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ქორწინება სამართლებრივად არის რეგისტირებული.რეგისტრაცია ეს არის მთავარი საბუთი,რითაც შეუძლიათ

დაიცვან თავიანთი კონსტიტუციური ,პირადი თუ ქონებრივი უფლებები.ბევრს ჰგონია,რომ თუ ისინი ჯვარს დაიწერენ,მაშინ ეს ნიშნავს რომ ის უკვე ოჯახია და იგივე უფლებებით სარგებლობენ რა უფლებებითაც რეგისტრირებული ცოლ ქმარი სარგებლობს.ეს ასე არ არის.მხოლოდ და მხოლოდ შესაბამის ორგანოში უნდა იყოს დარეგისტრირებული ეს ქორწინება,თუ გვინდა რომ ის სამართლებრივი შედეგი მოჰყვეს,რაც ჩვეულებრივ მოჰყვება ხოლმე.ეკლესიაში ჯვრის დაწერა არ ნიშნავს რომ ეს რეგისტრაცია შესრულდა. ეკლესიაში მხოლოდ და მხოლოდ სრულდება ქორწინების საიდუმლო რასაც ჯვრისწერა ეწოდება.უდაოდ,ორივე აუცილებელია სრულყოფილი ოჯახისთვის,თუმცა მომავალში როდესაც დავა წარმოიშობა,სამწუხაროდ ჯვრისწერის საიდუმლო ვერ გაყოფს მაგალითად მეუღლეთა შორის ქონებას,ან ალიმენტს ვერ დააწესებს რადგან მას,იურიდიული ძალა არ გააჩნია.დაურეგისტრირებელ ქორწინების უაროფით მხარეებზე საკმაოდ ბევრი შეგვიძლია ვისაუბროთ.ერთ-ერთია თანაზიარ საკუთრებაზე წარმოშობის უფლება.მაგალითად მეუღლეები ერთად ცხოვრობენ,ითვლებიან რომ ისინი არიან ცოლ ქმარი,რადგან ჯვარი დაიწერეს,თუმცა არ გააფორმეს თავიაანთი ქორწინება იურიდიულად და მოხდა ფაქტი და ერთერთი მეუღლე გარდაიცვალა.ამ შემთხვევაში რა ხდება? რა ბედი ეწევა სამკვიდროს?აქ უკვე ძალიან დიდი პრობლემები იჩენს თავს.ამიტომ აუცილებელია იურიდიულად რეგისტრაცია არამარტო ცოლ-ქმრული ურთიერთობის,არამედ ყველანაირი გარიგების და ურთიერთობის,რადგან უფრო დაცულად და მშვიდად გრძნობ თავს,ზედმეტი გაურკვევლობის გარეშე.როდესაც მექორწინეები გადაწყვტენ ოჯახის შექმნას,მათ უნდა მიმართონ განცხადებით შესაბამის სახელმწიფო ორგანოს ქორწინების რეგისტრაციისთვის.ამ განცხადებას ვადა აქვს მხოლოდ ორი თვე.ეს მექორწინეებს უფრო მეტად აძლევს საშუალებას დაფიქრდნენ და სწორად გადადგან ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი.ამ ორი თვის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ და დაარეგისტრირონ თავიანთი ქორწინება. როგორც სტატისტიკა აჩვენებს,წყვილები,რომლებიც განცხადება შეიტანეს შესაბამის ორგანოში,თუმცა

შემდეგ უარი თქვეს ორ თვიან პერიოდში ქორწინებაზე,ძირითადად 10 ან 12 პროცენტს შეადგენენ.[22]

ყველა ქვეყანაში ერთნაირი არ არის ეს ვადები.მაგალითისთვის ინგლისში,როდესაცწყვილები განცხადებას შეიტანენ მხოლოდ ორმოცდარვა საათის განმავლობაში აქვთ დრო, რომ მოიფიქრონ და ზუსტად გადაწყვიტონ ქორწინება.საფრანგეთში ეს ვადა არის ათი დღე.თუმცა აქ ის პირობაა,რომ სანამ ათი დღე არ გავა პირებს არ შეუძლიათ ქორწინება.თუმცა შეიძლება ეს ვადა გახანგრლძლივდეს ერთი წლით და იმ მომენტში როცა გადაწყვეტენ რეგისტრაციას,მნაშინ დაიწყება ახლიდან სიევ ათი დღის დათვლა.გერმანიაში კი სულ სხვანაირადაა.საფრანგეთისგან სრულიად განსხვავდება,რადგან,თუ საფრანგეთში ათი დღე იყო ვადა,გერმანიაში ეს არის ევქსი თვე.საკმაოდ დიდი დრო აქვთ მოსაფიქრებლად.საქართველოში თუ ორი თვე გავა, უქმდება ის განცხადება,რომელიც მექორწინეებმა შეიტანეს.თუ ისინი მოიფიქრებენ და მოუნდებათ ქორწინება,მათ ახლიდან უნდა შეიტანონ განცხადება შესაბამის ორგანოში.არის შემთხვევები,როცა ვადის გადაცილება სრულიად ჩვენთვის საპატიებელი მიზეზით ხდება,მაგრამ არანაირი მიზეზი არ შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ.ეს არ აინტერესებს სარეგისტრაციო ორგანოს რატომ მოხდა დროებით შეჩერება ქორწინების. დღესდღეობით არსებობს კონკრეტული გამონაკლისები,რომელიც კანონში არის გაწერილი. ეს არის განსაკუთრებული შემთხვევბი როცა განცხადების შეტანის დღესვე შეუძლიათ მექორწინეებს იქორწინონ.ეს არის თუ ბავში დაიბადა,ასევე თუ ერთერთი მხარის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე და კიდევ სხვა მრავალი. როდესაც წყვილი განცხადებას შეიტანს სარეგისტრაციო ორგანოში,იმ დღეს მეუღლეებს შეუძლიათ უარი უთხრან ქორწინებაზე,რადგან სხვა ძალიან ბევრი განცხადებაა შეტანილი ქორწინების მსურველების.წყვილს შეუძლია მიმართოს სხვა ორგანოს,მაგალითად სხვა

[22]რომან შენგელია,ეკატერინე შენგელია.საოჯახო სამართალი.,თბილისი.,2009,გვ94

ქალაქში,სადაც თავისუფალი იქნება. [23]ჩვენი კანონმდებლობა გვაძლევს იმის საშუალებას,რომ ნებისმიერ ქალაქში შეუძლიათ წყვილს შეიტანონ განცხადება ქორწინების რეგისტრაციის თაობაზე.თუმცა როგორც წესი,ისინი კონკრეტულად იმ ადგილს ირჩევენ სადაც მათი საცხოვრებელია,ან სადაც დაბადნენ.ამ შემტხვევაში საქართველოს კანონმდებლლობა ამ მხრივ არანაირ წინაღობას არ უქმნის მექორწინეებს,რადგან ნებისმიერ ტერიტორიაზე,სადაც არის სამოქალაქო რეესტრი,შეუძლიათ პირებს დაარეგისტრინონ თავიანთი ქორწინება და მისცენ მას იურიდული სახე.აუცილებელი პირობაა,რომ წყვილი თვითონ უნდა იყოს წარმოდგენილი რეგისტრაციის მომენტში.დაუშვებელია წარმომადგენლის დახმარებით ქორწინების რეგისტრაცია.ეს იმას ნიშნავს,რომ ცოლი და ქმარი არ გამოცხადდა რეგისტრაციისას და მხოლოდ წარმომადგენლები ესწრებიან ცერემონიას.ადრეულ წლებშიც არ მიმართავდნენ ამ ხერხს,რადგან ეს საკმაოდ პატივის შემლახველად ითვლებოდა და დიდ დამცირებად,მითუმეტეს ქალბატონისთვის.საყურადღებოა ის ფაქტიც,რომ წყვილი აუცილებელია თვითონ მივიდეს სარეგისტრაციო ორგანოში განცხადების შესატანად.არ შეიძლება ეს მათ გარდა სხვამ გააკეთოს,მაგრამ თუ ქმარს მაგალითად აქვს ცოლის პირადობა,შეუძლია მივიდეს და დაარეგისტრიროს ეს განცხადება ცოლის გარეშე და პირიქით.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120- მუხლის მიხედვით მექორწინეებს უნდა შეეკითხონ კონკრეტული გარემოებები რომელიც ქორწინებისთვის არის ხელისშემშლელი[24].თუ ერთი შემთხვევა მაინც გამოვლინდა,მაშინ რეგისტრაცია უქმდება და არ აქვს შესაბამის ორგანოს უფლება რომ რეგისტრაცია აწარმოოს.აუცილებელია ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია მეუღლეთა შორის,რადგან ერთერთს შეიძლება ჰქონდეს ისეთი დაავადება,რომელიც მეორეს გადაედოს ან თუნდაც შემდგომში შვილს აღმოაჩნდეს.აი ეს მიუთითებს იმ ფაქტს,რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია წყვილებმა

[23] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. საოჯახო სამართალი,. თბილისი.,2009,გვ 95.

[24]საქართველოს პარლამენტი.,საქართველოს კანონი,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120 მუხლი.,საქართველოს პარლამენტის უწყებანი,31,24/07/1997.
https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=109

დაარეგისტრირონ თავიანთი ქორწინება.უამრავი მაგალითი მესმის დღესდღეობით,რომ მეუღლეები დაობენ ერთმანეთში ისეთ ფაქტებს,რომლებიც მათთვის აქამდე უცნობი იყო.რადგან მათ არ აქვთ რეგისტრაცია გაკეთებული და უბრალოდ ერთად ცხოვრობენ.ასეთ შემთხვევას ოჯახი არ ჰქვია.ეს არ არის სრულყოფილი ოჯახი,სწორედ ასეთ ოჯახებში ხდება ძალადობა და ქალის ჩაგვრა. არის ისეთი შემთხვევები,როცა არცერთმა მხარემ არ იცოდა იმ გარემოებებზე,რომლებიც კრძალავდა ქორწინების დარეგისტრირებას.[25]

ეს არის ისეთი შემთხვევა,რომელიც უკავშირდება აღმავალი ან დაღმავალი ხაზით ნათესაობას.ხშირად ყოფილა შემთხვევა რომ წყვილები მოგვიანებით იგებენ რომ ისინი არაბილოგიური და ძმა არიან.ამ დროს ეგრევე უნდა შეწყდეს ქორწინება,რა თქმა უნდა სასამართლოს გზით.ის მომენტი როდესაც მეუღლე იცვლის საკუთარ გავრს და გადადის ქმრის გვარზე ,შეუძლია რომ ეს გვარი ატაროს,მაშინაც თუ ისინი დაშორდებიან და შეწყდება ქორწინება.თუ თანაცხოვრების პერიოდში იგებენ მეუღლეები რომ რაღაც კონკრეტული დამაბრკოლებელლი გარემოება არსებობს,რა თქმა უნდა,წყვეტენ ამ ქორწინებას მაშინვე.აუცილებელია,რომ ქორწინება შეწყდეს და არა ბათილად გამოცხადდეს.

ბევრჯერ ავღნიშნე,რომ მეუღლეებს საკმაოდ დიდი უფლება მოვალეობები წარმოეშობატ ერთმაენთის წინაშე.ეს მოვალეობები თვითონაც გააზრებული უნდა ჰქონდეთ და ამ ყველაფერს სარეგისტრაციო ორგანოც ეუბნება.უფლება მოვალეობებში არ შედის მხოლოდ პატივვისცემა და ურთიერთ გაგება.მათ გააზრებული უნდა ჰქონდეთ ,მრომ როდესაც ოჯახი იქმნება იქ ჩნდება ბავშვი,რომელზეც ყველაზე დიდი უფლება მოვალეოებები უჩნდებათ.მისი მოვლის,აღზრდის და გაზრდის.თუ განცხადების შეტანის დროს ერთერთი პირი არ არის აუცილებელი,რეგისტრაციის მომენტში ეს აუცილებელია,რადგან,მან უშუალოდ უნდა მიიღოს ამ პროცესში მონაწილეობა.მაგრამ,თუ კონკრეტული გადაუდებელი მიზეზის გამო პიირი ვერ ცხადდება ორგანოში,შეიძლება გარეთ

[25] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, გ. დ. . თბილისი.2001. N9.

გავიდნენ და სწორედ იმ ადგილას ჩატარდეს სადაც ერთერთი მხარე იმყოფება.მიზეზად ითვლება ავადმყოფობა,ან დაწესებულება სადაც მკურნალობას გადის პაციენტი,ასევე შესაძლებელია ციხეშიც მოხდეს ხელის მოწერა.აქედან გამომდინარე,ჩვენი სახელმწიფო ყველა პირობას უქმნის მოქალაქეებს,რომ ნებისმიერ მომენტში,როცა ისინი გადაწყვეტენ ქორწინებას,მათ აუცილებლად დაამოწმონ ეს ყველაფერი იურიდიულად.თითოეული ჩვენი ნაბიჯი უნდა იყოს სამართლებრივი და ქორწინება,რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი საკითხია,როგორ არ უნდა გავხადოთ იურიდიული ძალის მქონე.ეს არის საკითხი სადაც უამრავი პრობლემა წარმოიშობა,რომელიც შეიძლება უბრალოდ მოგვარების გზით მორჩეს,მაგრამ უმეტეს შემტხვევაში მისი საბოლოო შედეგი არის სასამართლო.ამ ყველაფრის თავიდან აცილების მიზნით კი აუცილებელია სამართლებრივი სახე მივცეთ ჩვენს თითოეულ ნაბიჯს.

როგორც ვიცით,ჯვრისწერაზე არიან მოწმეები,იგივე მეჯვარეები.ასეთივე მოწმეები არის საჭირო ქორწინების რეგისტრაციის დროს .რადგან ეს ყველაფერი იყოს საჯარო.მოწმე აუცილებელია იყოს სრულწლოვანი.მიუღებელია მოწმის არასრულწლოვანი ყოფნა ,შეიძლება მეუღლეები იყვნენ არასრულწლოვნები მაგრამ მოწმე აუცილებელია,რომ იყოს სრულწლოვანი.სწორედ ეს მოწმეები ამოწმებენ მათ ქორწინებას.მათაც უნდა იცოდნენ რომ ეს არის მეუღლეების ნებაყოფლობითი,მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულზე დამყარებული კავშირი,რომელიც ურთიერთ პატივისცემას და ერთმაენთის მოვლას გულისხმობს,ყოველგვარი დაჩაგვრის და ძალადობის გარეშე.

კანონი ჩვენს ქვეყანაში არის უზენაესი,რომელიც საოჯახო სამართალში ადგენს იმ პირობებს,რომელიც აუცილებელია ქორწინებისთვის და ასევე ის პირობები,რომელიც ძრითადად ხელს უშლის ქორწინებას.დღესდღეობით ძალიან გაადვილებულია ქორწინების წესი,ასევე განქორწინებაც.ძველი დროისგან განსხვავებით შესაძლებელია მარტივად,ერთი ხელის მოწერით მოხდეს ეს ორი მთავარი ნაბიჯი ცხოვრებაში.არსებობს ქორწინების პოზიტიური და ნეგატიური

პირობა.პოზიტიურის დროს,თვითონ სიტყვა გვეუბნება,ეს ნიშნავს,რომ წყვილებს შეუძლიათ ჩვეულებრივად მაოხდინონ ქორწინების რეგისტრაცია,ხოლო ნეგატირუსი დროს არსებობს ქორწინების დამაბრკოებელი გარემოებები. პოზიტიურ პირობად შეიძლება ჩაითვალოს საქორწინო ასაკი და ასევე მეუღლეთა თანხმობა.დამეთანხმებით ეს ორი ისეთი პირობაა,რომელიც აუცილებელია ქორწინების რეგისტრაციისთვის.ყველა ქვეყანაში სადაც კანონი არსებობს საოჯახო სამართის, ყველგან აქვთ ეს პირობა, რადგან სხვანაირად სამართალი ვერ იარსებებს.

ქორწინების ასაკი, როგორც ავღნიშნე არის თვრამეტი წელი, თუმცა ნელ-ნელა იმატებს და ცდილობენ რომ ასეთ პატარა ასაკში აღარ შექმნან ოჯახი.კვლევების თანახმად,ძირითადად პატარა ასაკში შექმნილი ოჯახები უფრო ხშირად ინგრეოდა,ვიდრე ზრდასრული ადმაიანის შექმნილი ოჯახი. 1997 წელს,დაქორწინების მსურველთა ასაკი გახდა 27 წელი.[26] ეს მაჩვენებელი გაიზარდა,რადგან მექორწინეები თვლიან,რომ სანამ დაქორწინდებია, აუცილებელია ჯერ ეკონომიკურად იყვნენ მზად ამისთვის,რადგან ოჯახის სიმტკიცისთვის ეკონომიკური მდგომარეობა დიდ როლს თამაშობს.[27]თვრამეტი წელი ითვლება საქართველოშისაქორწინო ასაკად,ეს ვრცელდება ქალებზეც და კაცებზეც.იყო საუბარი იმის შესახებ,რომ ეს ასაკი შემცირებულიყო ორი წლის ასაკით,მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა მშობლები ან კანონით მინიჭებული წარმომადგენელი ამ ყველაფერზე იტყოდნენ თანხმობას.მაგრამ დღეს კანონი მოქმედებს,რის საფუძველზეც შეუძლებელია თვრამეტ წელს მიუღწეველი პირის დაქორწინება.

ეს ასაკი ისევ და ისევ იმიტომ არის მიღებული,რომ მომავალში იყოს ნაკლები გქორწინება და მშობლებს ჰქონდეთ გააზრებული ბავშვის მოვლა.ეს პირველ რიგში მნიშვნელოვანია ქალებისთვის,რადგან ადრეულ ასაკში ქალები რომლებიც ბავშვებს აჩენენ შემდგომ განათლებას ვეღარ იღებენ,თავიანთ კარიერას ვერ

[26]შ.ჩიკვაიშვილი. საოჯახო სამართალი,.თბილის,.2004
[27]Верлинская, Е. Ф. (б.д.). *с.*

აწყობენ.აქედან გამომდინარე, ქორწინება მაშინვე შეწყდება როცა ასაკის პირობა არ იქნება დაცული.

ოდითგანვე ცნობილი იყო ადრეულ ასაკში ქალების გათხოვება.მეთორმეტე საუკუნეში იყო შემთხვევები,რომ თორმეტი წლის გოგონებს უკვე ათხოვებდნენ.ბიჭსაც ამ ასაკში მოყავდა ცოლი.ეს არის იმის ერთერთი მანიშნებელი, რომ ქალების როლი სრულიად დაკნინებული იყო.თორმეტი წლის გოგონა, რომელიც ჯერ მენტალურად საერთოდ არ არის იმისთვის მზად,რომ ოჯახი შექმნას,ეს არის უდაოდ ძალადობა.მაგრამ მაშინ ამ ყველაფერს ასე არ თვლიდნენ და ფიქრობდნენ,რომ ქალი იმისთვის არის შექმნილი რომ გათხოვდეს და ბავშვები გაზარდოს,იყოს კაცის მონა მორჩილი.ასეთ ადრეულ ასაკშიც იმიტომ თხოვდებოდნენ,რომ მამაკაცები ძირითადად თავიანთ მენტალიტეტზე ზრდიდნენ და ეს მათთვის გაცილებით იოლი იყო.წარმოდგენაც არ მინდა,როგორი სტრესის ქვეშ იქნებოდნენ გოგონები,რომლებიც ასეთ პატარა ასაკში ქმნიდნენ ოჯახს.გაუაზრებელი იყო ეს ნაბიჯი მათთვის და ოჯახის ცნებას ვერც ხვდებოდნენ.ჩემი აზრით,ქართული კანონმდებლობაში საკმაოდ კარგი ნაბიჯია გადადგმული საქორწინო ასაკის გაზრდის სახით.მთელი ეს პერიოდი მხოლოდ მინიმალურ ასაკზე ვსაუბრობდით,თუმცა არაფერი გვითქვამს მაქსიმალურ ასაკზე,როდის შეუძლია წყვილს ქორწინება.ამას რა თქმა უნდა არ ითვალისწინებს კანონი,რადგან როგორც კი თვრამეტი წლის შესრულდება პირი,მას შეუძლია ნებისმიერ დროს იქორწინოს მისთვის რჩეულ ადამიანზე.კანონში ასევე არ გვხვდება ასაკობრივი შუალედი,თუ რა ასაკი უნდა იყოს მეუღლეთა შორის.მოკელდ რომ შევაჯამოთ,ქორწინების ასაკი ეღტერთი მნიშვნელოვანი საკითხია საოჯახო სამართალში.ძველ საქართველოში გვახსოვს,როგორ იტაცებდნენ ქალბატონებს,მიუხედავად იმისა რომ შეიძლება ქალს არ უნდოდა გათხოვება,მამაკაცი მაინც იტაცებდა.ეს იყო აშკარა ძალადობარაზეც რეაგირება არავის ჰგონია.არაბინ აქცვედა ყურადღებას ამ დროს ქალის ასაკს,იტაცებდნენ თხუტმეტი თექვსმეტი წლის გოგოებს და მათი მომავალი მთლიანად ქრებოდა.არ

არსებობდა სიყვარული,არ იყო პატივისცემა,ზრუნვა.ოჯახი არ გავდა ნამდვილ ოჯახს.არავინ არეგისტრირებდა ამ ვითომ ქორწინებას შესაბამის ორგანოში.არავინ ისჯებოდა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობით ამ საქციელების გამო.გოგონას მოტაცება ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული რომელიც დღეს ისჯება და ვეღარ ბედავენ ამის გაკეთებას.ეს ნიშნავდა რომ სხვას თავისუფლებას ართმევდი უკანონოდ.ამჟამად მაინც არის შემთხვევები მოტაცების,მაგრამ პოლიციას საკმაოდ სწრაფი რეაგირება გააჩნია და მაშნვე აკავებენ დამნაშავეს.ვფიქრობ ასეც უნდა იყოს.ამ მოტივით ოჯახის შექმნა სრულიად გაუგებარია ჩემთვის.

ჩემთვის საკმაოდ მისაღებ თემაზე გადავდივართ ახლა,რომელსაც ეწოდება ნიშნობა.საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ნიშნობის განმარტებაც წერია. ეს არის წინასწარ წარმოთქმული თანხმობა პირებს შორის.ადრეულ პერიოდში უფრო აქტიურად გამოიყენებოდა ნიშნობის ინსტიტუტი.მარტივად რომ ვთქვათ,ეს არის წინასწარი თანხმობა, რომლის სსაფუძველზე ქალი და კაცი იწოდებოდა საქმროდ და საცოლედ.ნიშნობის შემდეგ შეიძლება გასულიყო რამდნეიმე თვე ან წელი,და შემდგომ წაეყვანა კაც ქალბატონი. ეს იყო პერიოდი, როცა ქალის ოჯახი და კაცის ოჯახი ერთამენთს იცნობდა უკეთ და ემზადებოდნენ მომავალი ქორწილისთვის. ნიშნობის ტრადიცია დღესაც საკმაოდ აქტუალურია და ჩემს გარშემოც ბევრი ადამიანი მიმართავს,რადგან ეს არის ერთგვარი ნაბიჯი და მომზადება იმისკენ,რომ მალე წყვილი იქორწინებს და გადადგავს იმ ნაბიჯს,რომელიც მათ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია. ნიშნობა იყოს იმის მიზეზი,რომ მომავალში აერიდებინათ განქორწინება თვიდან და უფრო გააზრებულად დაფიქრებულიყვნენ ნამდვილად უნდოდათ თუ არა ოჯახი.

ქალის და მამაკაცის ოჯახის წევრები უკეთ იცნობდნენე რთმანეთს,უფრო ახლოვდებოდნენ, მსჯელობდნენ და ერთად გეგმავდნენ ქორწილს.ნიშნობის რიტუალი მიმდინარეობდა შემდეგი სახით:მამაკაცის ოჯახს მიჰქონდა ქალისთვის

ძვირფასეულობა რომელიც გამოიხატებოდა ბეჭდის მიცემაში ან სხვა ძვირფასეულობის ,რომელიც ძირითადად იყო ოქრო და სხვა ძვირფასი ნივთები.

დღესდღეობით ნიშნობის ინსტიტუტი საკმაოდ დაიხვეწა და განვითარდა.ძალიან ბევრი წყვილი ცდილობს მხოლოდ ნიშნობით შემოიფარგლოს და ამას უწოდოს ეგრედწოდებული ქოწინება.ანუ ეს კტეორია ფიქრობს,რომ თუ ქალს დანიშნავს და ძვირფად ნივთებს მიუტანს,ეს ნიშნავს,რომ მას შეუძლია ამ ქალის ცოლად მოყვანა ყოველგვარი რიტუალების და რეგისტრაციის გარეშე.სამწუხაროდ დღეს ამ ხერხს ძალიან ბევრი წყვილი მიმართავს და არ იციან რომ ეს მხოლოდ ოჯახების გაცნობაა და მზადება იმისთის რომ მალე მოახდინონ ქორწინების რეგისტრაცია.მოკლედ რომ ვთქვა ნიშნობა ეს არის გარიგება,რომელიც არის ზეპირი და რომელიც გამოიხატება მამაკაცის ოჯახის მხრიდან ძირფასეულობის მიტანით ქალის ოჯახში. როგორც წესი,ბეჭედს იყენებენ დანიშვნისას და ასევე ქორწინებაშიც,რადგან თუ ქალს და კაცს ბეაწედი უკეთია მარჯვენა ხელზე ეს ნიშნავს,რომ ის ქორწინებაში იმყოფება,ამიტომ ქორწინების სიმბოლოდ შეგვიძლია ჩვთვალოთ ბეჭედი.[28] ძველ საქართველოში აუცილებელი პირობა და მოთხვონა იყო ქალისა და ვაჟის ნიშნობა.ეს შეიძლება მათ გარეშეც მომხდარიყო მათი ოჯახის წევრების მონაწილეობით.არ იყო იმის აუცილებლობა რომ მაგალითად წყვილი დასწრებოდა ამ რიტუალს[29]. ნიშნობის ასაკად ითვლება ყველაზე ცოტა შვიდი წელი,მაგრამ იყო შემთხვევები რომ აკვანშიც ინიშნებოდნენ[30].ნიშნობის სინონიმად შეგვიძლია ჩავთვალოთ წინდობა,რომელიც უკვე ეკლესიაში სრულდებოდა.ნიშნობის დღეს ქრისიანი წყვილი ეკლესიაში მიდიოდა და აკეთებდა დაწინდვას.ეს არის ჯვრისწერის ერთ-ერთი საიდუმლო,სადაც ხდება ბეჭედების გაცვლა და დამოწმება იმისა,რომ ისინი

[28]ი.ფუტკარაძე,ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით,ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები,თბილისი.,1997,გვ 31

[29]ლ.შოშიაშვილი.ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში.,თბილისი,.2003,გვ 14

[30]ლ.შოშიაშვილი.ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძელ ქართულ სამართალში.თბილისი.,2003,გვ 14

ემზადებიან მომავალი ქორწილისთვის.ბიბლიაში ხაზგასმით წერია,რომ მიუხედავა იმისა ქალი და კაცი თუ დაიწინდა,მათ მაინც არ შეუძლიათ ჯვრისწერამდე ერთად ცხოვრება.ეს არ ნიშნავს,რომ ისინი უკვე ცოლ-ქმარი არიან.ეხ მხოლოდ არის მზადება იმისკენ,რომ ისინი მალე დაქორწინდებიან.ეს იყო თანხმობის წინასწარი გამოხატულება რომელიც შემგომში უკვე წყვილებს აკისრებდა იმის აუცილებლობას,რომ ქორწილი გაეკეთებინათ.ქორწილში ვგულისხმობ,რეგისტრაციას როგორც ეკლესიაში ისე ღვთის სახლში.ძველ საქართველოშ ქალბატონების ოჯახში თავს იწონებდნენ მზითვებით,რომელიც ქალს გათხოვების შემდგომ მისი ოჯახიდან მიქჰონდა.მზითებში შეიძლება შესულიყო ძვირფასი ჭურჭელი,თეთრეული,ავეჯი,ტექნიკა,ოქრო.რაც უფრო კარგი და ძვირფასი მზითვი ჰქონდა ქალს,ის უფრო მეტად იწონებდა თავს ქმრის ოჯახში და საკმაოდ სასურველი სარძლოც იყო. ანუ ასე თუ ისე ,ეს ნიშნავდა,რომ ქალი ფასდებოდა,მისი ძვირფასეულობით რაც მზითებში იყო. რა ხდებოდა მაშინ თუ ნიშნობის მერე აღარ გაგრძელდებოდა ურთიერთობა წყვილებს შორის?ამ შემთხვევაში ქალიც და ვაჟიც უკან აბრუნებდნენ იმ ძვირფას ნივთებს,რომელცი ერთმანეთს აჩუქეს. ოღონდ ჯერ გასარკვევი იყო ვისი მიზეზით მოხდა ნიშნობის მოშლა.თუ გოგონას ბრალეულობა იყო,მაშინ ის უკან აძლევდა ბიჭს ნიშნობის დროს მიტანილ თანხას და თუ ბიჭის ბრალეულობა იყო,ბიჭი აძლევდა უკან ყველაფერს გოგონას. [31]საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განმარტავს ნიშნობის შესახებ გარემოებებს. პირველი ეს არის რაც ავღნიშნეთ რომ თუ ქორწილი არ შედგა წყვილები აბრუნებენ იმ ძვირფასეულობას,რაც მათ ნიშნობაზე გაცვალეს.მეორე ეს არის ქონება,ნოშნობა არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებას წყვილებს შორის რომელიც ქონებრივი ხასიათით გამოიხატება.მესამე არის იძლებითი ქორწინება.თუ წყვილი დანიშნულია და აღარ უნდათ დაქორწიენბა,იმის გამო რომ ისინი დანიშნულები არიან,არ შეიძლება ქორწინება აუცილებლად მოხდეს.ეს უკვე არის იძულება და თავისუქლების პრინციპის დარღვევა.ნებისმიერ დროს შეუძლიათ

[31]ი.დოიძე.ქართული სამათლის ძეგლები,ტექსტები და კომენტარი.,თბილი.,1963,გვ 243,539

უარი თქვან და არ გააგრძელონ ურთიერთობა ქორწინებით.მთავარი ის არის,რომ ნიშNობას არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნია,აქედან გამომდინარე სასამართლოს დავითაც ვერ გადაწყდება ვერაფერი.და კიდევ რაც ყველაზე მთავარია,ნიშნობის დროს,როგორც ავღნიშნე წყვილის მშბლები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ ყველაფერში,მაგრამ ეს იმის უფლებას არ აძლევთ რომ მათ გადაწყვიტონ მექორწინეთა ბედი.თახმობა უნდა განაცხადონ მექორწინეებმა და არავის არ აქვს უფლება დააძალოს ან რაიმე მუქარით ათქმევინოს თანხმობა ნიშნობაზე ან თუნდაც ქორწინებაზე.ნიშნობის გამოც ქალბატონები საკმაოდ დაჩგრულები იყვნენ,რადგან როდესაც შვიდი წლის ბავშვს აკვანში დანიშნავ და შემდგომ თხუტმეტი ან თორმეტი წლის ასაკში ეტყვი,რომ შენ უნდა გათხოვდე ეს ძალიან ძნელია.ათხოვებდნენ ისეთ ადამიანზე ვინც არ უყვარდათ და ვისაც არ იცნობდნენ.ესეც ძალადობა იყო.მიუხედავად იმისა,რომ ბევრი ქალი ამბობდა უარს ნიშნობის შემდეგ ქორწინებაზე,ისინი შემდგომ ოჯახისგან საკმაოდ დაჩაგრულები იყვნენ.ეს ითვლებოდა ქალის მრუშობად,როცა ის აღარ გააგრძელებდა ნიშნობას და მოშლიდა ამ ყველაფერს.აღარაფერს ვამბობ განქორწინებაზე.განქორწინებული ქალი,არავის არ მოყავდა ცოლად, რადგან ესეც უდიდეს მრუშობად ითვლებოდა. ყველაზე ცუდი ისაა,რომ ასეთ დროს თვითონ ქალები იჩაგრებოდნენ ძალიან როგორც საზოგადოების მხრიდან ისე საკუთარი ოჯახის მხრიდან.იყო შემთხვევები,რომ განქორწინებულ ქალს ოჯახში მამა აღარ უშვებდა და ეუბნებოდა რომ ის მრუშა და ოჯახის შემარცხვენელი. ალბათ წარმოგიდგენიათ რამხელა ტრაგედიაა ეს ქალისთვის, რადგან განქორწინებაში არაფერია სამრუშო,პირიქით ყოველთვის ჯობია თუ ოჯახში კონფლიქტია,რომ წყვილები ცივილურად განქორწინდნენ ,რადგან ამის შეუსრულებლობის შემთხვევაში ,შემდეგ იქმნება ოჯახში ძალადობა,რაც ძირითადად ქალის მიმართ გამოიყენება ხოლმე.

2.2. გარემოებები,რომელიც ქორწინებას აბრკოლებს

ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად შეიძლება ბევრი რამ ჩაითვალოს.კოდექსშ კარგად არის გაწერილი გარემოებები,რომლის არსებობაც არის დაბრკოლება ქორწინებისთვის.განვიხილოთ პირველი გარემეობა ეს არის პრინციპი,რომელიც გულისხმობს პირის მეორედ ქორიწნებას,როცა ის იმ მომენტშ იმყოფება უკვე ქორწინებაში.მოგეხსენებათ ჩვენთან არ არის მრავალცოლიანობის ტრადიცია და ქალსაც დ აკაცსაც უნდა ყავდეთ ერთი ცოლი ა ერთი ქმარი,როცა ისინი ქორწინებაშ იმყოფებიან.თუ სხვა ადამიანთან მოუნდება ქორწინება,აუცილებელია,რომ მოხდეს წყვილებს შრის განქორწინება და შემდგომ ახალი ქორწინება დარეგისტრირდეს სხვა პიროვნებასთან.მრავალცოლიანობა ძირითად მუსლიმურ ქვეყნებშია გავრცელებული და ვფი რობ ,რომ ჩვენი ქვეყანა ბედნიერია,ასეთი ტრადიცია რომ არ არსებობს.წარმოიდგინეთ როგორ შეიძლება მოგვარებულიყო მრავალცოლიანობასთან დაკავშირებული პრობლემები,როცა ეს ყველაფერი იურიდიულად ვერ იქებოდა გაფორმებული.რა თქმა უნდა ამას ჩვენი რელიგიაც კრძალავს და ზნეობრივი კუთხითაც ყოვლად მიუღებელია ჩვენთვის ასეთი რამ.თუ ქალი და კაცი ერთმანეთს შორდება და დადგა განქორწინება,ისინი არ არისნ კონკრეტულ რიმე დროში შეზღუდულნი,რომ მეორე ქორწინება მოახდინონ.განქორინების შემდგომ როცა მოესურვებათ მაშნვე შეუძლიათ მაათ ხელმეორედ ქორწინება.არის ქვეყნები სადაც კონკრეტული ვადა არის დათმული.ასეთი ქვეყანა მაგალითად ევროპაში დანია, სადაც გაშორების შედგომ მამაკაცს არ შეუძლია ქორწინება 3 თვე ,ხოლო ქალს ერთი წელი. [32] სრაეგისტრაციო ორგანოშ როდესაც მიდი სწყვილი ქორწინების რეგისტრაციისთვის ,ორგანოს მთავარი მიზანი არის დაარეგისტრიროს წყვილი და გაარკვიოს ხომ არ იმყოფება,რომელიმე ქორიწინებაში.ამ მიზეზით,როცა პირი განორწინდებამას აძლევენ ამის დამადასატურებელ საბუთს და შემდგომ ეს საბუთი უნდა წარადგინოს რეესტრში,თუ სხვასთან ენდომება ქორწინება.მხოლოდ განქორწინება არ არის ქორწინებიშ შეწყვეტის მიზეზი.ქორწინება ავტომატურად წყდება,როცა

[32]შ.ჩიკვაიშვილი.საოჯახო სამართალი,.თბილისი.,2004

ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვლება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე,მნიშველოვანია რომ დავიცვათ ერთქორწინების პრინციპი ჩვენს ქვეყანაში.რა ხდება მაშნ,როცა ნათესავებს შორის ხდება ქორწინება? ეს არის ერთ-ერთი მნიშნელოვანი პრინციპი საოჯახო სამრთალში. იკრძალება შეუღლება ყველანაირ ნათესავებს შორის,და-ძმას შორის,არ აქვს მნიშვნელობა ისინი ბიოლოგიურები იქნებიან თუ არა ბიოლოგიურები,ასევე აკრძალულია ქორწინება პირებს შორის როგორიცაა მშვილებელი და ნაშვილები.კანონით იკრძალება აღმავალი და დაღმავალი მეუღლეებს ნათესავებს შორის ქორწინება,მაგალითად შვილებსა და მშობლებს შორის,ბებია და შჰვილიშვილს შორის.ეს იმისთვის იკრძალება,რომ პირველ რიგში ამას ჩვენი რელიგია უარყოფს და ეს ჩვენ ადამიანებს სისხლში გვაქვს გამჯდარი რომ ნათესავთან არ შეიძლება არანაირი ურთიერთობის დამყარება ქორწინების სახით,რადგანე ს იწვევს საკმაოდ დიდ პრობლემებს,როგორც გონებრივ და მენტალურ ისე ჯანმრთელობის მხრივ პრობლემებს. ეს არის სისხლის არევა,რომელიც შემდგომში ცუდ ზიანს აყენებს მომავალ თაობას. სისხლის არევა არ ხდება ნაშვილებსა და მშვილებელს შორის,მაგრამ მაინც იკრძალება მათ შორის ქორწინება,რადგან ისინი სამართლებრივი თვალსაზრისით გათანაბრებულები არიან ერთმანეთათან,როგორც მშობელი და შვილი.ამიტომ ეს უფრო ზნეობრივი საკითხია,ვიდრე ის ,რომ შეიძლება სისხლის არევა მოხდეს.ძველ საქართველოში,ათესავებს შორის ქორწილი არ იყო პრობლემა.ქორწინდებოდნენ ბიძაშვილები,მამიდაშვილები,ახლო ნათესავები.ამის მიზეზი იყო ის,რომ არ იყო ქრისტიანობა გავრცელებული და ზნეობრივი ნორმები მათთვის მინიმუმადე იყო დაყვანილი.მას შემდეგ რაც ქრისტიანობა გავრცელდა,ეკლესიამ მოახერხა ის,რომ აკრძალა ნათესავებს შორის ქორწილი.ნელ ნელა იზდებოდა ჩამონათვალი იმ ხალხის წრის ვისთანაც ქორწინება არ შეიძლებოდა.მაგალითად ქრისტიანობის გავრცეების შემდეგ,ხალხი ინათლებოდა,ეს კი იმას ნიშნავდა,რომ აკრძალული იყო ნათლიას და ნათლულს შორის ქორწინება,ასევე მათ ოჯახებს შორის,რადგან ისინი უკვე ნათესავებად ითვლებოდნენ.საზოგადოებრივი ადრე განვითარების ხანაში

გავრეცელებული იყო შემთხვევა,რომელიც უკავშირდებოდა ენდოგამიას.მისი მიზანი იყო პოლიტიკური და ამ შემთხვევაში ეკლესია არაფერს ამბბოდა და არ აპროტესტებდა ამ საკითხს.წარმომიდგენია რამხელა პრობლემას წარმოადგენდა ეს ყველაფერი ადამიანებისთვის,როცა საკუთარი ნათესავი მაგალითად ბიძაშვილი შეიძლება მეუღლე აღმოჩნდეს.ეს არის ზენობრივი კუთხით ყველაზე დაბალი დონე და ასევე ეკლესიური თვალსაზრისითაც საშინელი ცოდვაა ნათესავებს შორის ქორწინება.სხვადასხვა ქვეყნები კრძალავენ ამ საკითხს და მკაცრად აკონტროლებენ,რომ არსად არ მოხდეს ასეთი შემთხვევა. ინცესტი ეს არის ყველაზე საშიში რამ რაც შეიძლება მომავალ თაობას დაემართოს. ადრეულ წლებში გენეტიკური დაავადებების შესახებ არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია,რის შედეგადაც ვერ ხვდებოდნენ რამხელა რისკი იყო ნათესავებს შორის სქესობრივი კავშირი.მაგრამ ის იცოდნენ,რომ ბავშვი აუცილებლად ანომალიით დაიბადებოდა.ძალიან ბერვ ქვეყანაში ინცესტი არის დასჯადი სისხლის სამართლის წესით.შევიცარიამ 2010 წელს მიიღო კანონი,რომ ინცესტი მის ქვეყანაში აღარ იქნებოდა დასჯადი და ყველანაირი ხაზის ნათესავებს შეეძლებოდათ ერთმანეთთან დამეყარებინათ კავშირი.ეს იყო ერთადერთი ქვეყანა,რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო.ინცესტის მსხვერპლი შეიძლება გახდე უნებურად,ისე რომ შენ არც იცოდე.ეს ხდება ძირითადად მაშინ,როცა შვილებს აშვილებენ და ტოვებენ და შემდგომ არც ბავშვმა და არც მშბელმა არ იციან მათი ცხოვრების შესახებ,ვინ სად არის და რას აკეთებს.ვფიქრობ,ესეც საკმაოდ მნიშვნელოვანი პირობაა იმისა რაც ქორიწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს ეხება. კიდევ ერთი გარემოება,რომელიც ქორწინების დამაბრკოლებელია ეს არის პირი, რომელიც არის გონებრივად ავადმყოფი და ჭკუასუსტი,ეკრძალება ქორწინება. ამის მიზეზი არის ის,რომ ადამიანი რომელიც არის ჭკუასუსტი და ვერ იაზრებს ნორმალურად რა ხდება ,ის ვერ გაითავისებს,რომ ქმნის ოჯახს და მისი ვალდებულებაა ამ ოჯახის დაფასება,მოვლა და ზრუნვა თავისი მეორე ნახევრის.ეს ყველაფერი სასამართლოს წესით უნდა იქნეს აღიარებული და სამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს იმის შესახებ,რომ

ადამიანი არის ჭკუასუსტი.სულით ავადმყოფი და ჭკუასუსტი,ეს არის ის ორი მიზეზი,რომელიც კრძალავს ქორწიენბას. თუ სხვა ავადმყოფობა აქვს ადამიანს,რომელიც გონებასთან დაკავშირებული არი არის და ის უბრალოდ რაიმე სენით არის დაავადბეული,ეს არ შეიზლება ჩაითვალოს ქორწინების დამაბრკოებელ გარემოებად.ძალიან ცუდია,როცა ჩვენს კოდექსში არ არის გათვალისწინებული ის გარემოება,რომელიც შიდსს უკავშირდება. ეს არის სენი, რომელიც არის განუკურნებელი და ძალიან დიდ ყურადღებას საჭიროებს.მან შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას, როგორც მომავალ მეუღლეს ისე მის გარშემო მყოფებს. უფრო დიდი დანაშაულია,როცა შიდსით დაავადებული თავის დაავადებას მალავს. ეს არის სისხლისამართლებრივი დანაშაული.სახელმწიფოს დამოკდიებულებაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ამ საკითხის მიმართ და ცდილობს შეებრძოლოს ამ უკურნებელ დაავადებას. ჩემი აზრით,შიდსი უნდა იყოს კიდევ დამატებითი გარემოება იმისა რომ ქორწინება არ მოხდეს.სამქოალაქო კოდექსი უნდა ითვალსიწინებდეს ამ პუნქტს. ჭკუასუსტობა და სულით ავადმყოფობა მნიშვნელოვანი გარემოებებია რომელიც აუცილებელია რომ ყველამ გაიტავისოს. ხანდახან ჰგონიათ,რომ ეს დაავადებები მათ ხელს არ შეუშლი ოჯახის შექმნაშ, მაგრამრ გოორ შეიძლება არ შეგიშალოს ხელი, როცა ვერ იაზრებ რა ხდება და არ შეგიძლია გაიგო რომ შენ გაქვს ოჯახი,ქმარი.ასეთი ადამიანი მომავალში როგორ მოუვლის შვილს?ვერ მოუვლს,რადგან მას საკუთარი თავის მოვლაც არ შეუძლია.

როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური პირობები კოდექსში ზუსტად არის გაწერილი.არავის არ აქვს უფლება რაიმე სხვა პირობა დააწესოს ამ პირობებთან დაკავშირებით.ყველანაირი შეზღუდვა რომელიც შეიცავს დისკრიმინაციის ელემენტებს არის უხეში დარღვევა და ეს ისჯება კანონით.კატეგორიულად იკრძალება რელიგიური ან სოციალური ან რასობრივი დისკრიმინაცია ქორწინების ხელისშემშლელ პირობად.ყველამ უნდა გაიაზროს,რომ ქორწინება ეს არის იურიდიული ფაქტი,რომლის პირობებსაც ადგენს კანონი და კანონის წინ ვერავინ ვერ წავა და ვერ გადაწყვეტს რა და როგორ ქნას.არც თუ ისე მარტივია

ქორწინება,როგორც ეს სხვებს მიაჩნიათ,რადგან უამრავ წარმოშობილ ვალდებულებებთან არის ის დაკავშირებული ,რომელიც თითოეულმა მხარემ უნდა გონივრულად დაიცვას და შეასრულოს.აი ამიტომ ადამიანი უნდა იყოს საღად მოაზროვნე რომ ეს ყველაფერი გაითავისოს და გაიზაროს. ჭკუასუსტი ადამიანი ამას ვერ მიხვდება,რადგან პრობლემის გააზრების უნარი მას არ გააჩნია.

2.3. შეწყვეტილი ქორწინება

ქორწინების შეწყვეტა არის დაშვებული ნებისმიერ დროს.როდესაც წყვილი ქორწინდება მას აქვს როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები.თანაცხოვრების დროს წარმოიშობა უამრავი პრობლემები რომელსაც ბევრი ვერ უმკლავდება და საბოლოოდ განქორწინების სახით ამთავრებს.ერთი შეხედვით განქორწინება თითქოს არაფერია,დაშორდება წყვილი და ყველანაირი წარმოშობილი პრობლემის გარეშე გააგრძელებენცხოვრებას,მაგრამ განქორწინება საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს მენტალურად ბავშვებს,რომლებიც ხედავენ,რომ მშობლებმა ცალ ცალკე უნდა იცხოვრონ და ვეღარ იქნებიან ერთი მთლიანი ოჯახი.ეს ტოვებს ძალიან დიდი ტრამვას მათ გონებაზე,რომელიც მთელი ცხოვრება არ ქრება.[33]მნიშვნელოვან კვალს ტოვებს მეუღლეებისთვის,რომელიც შორდებიან რადგან ეს დიდ ზიანს აყენებს მათ ფსიქიკას. არ არის მარტივი ეს ყველაფერი.მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. დადებითი მხარე ამ შემთხვევაში შეგვიძლია ჩავთვალოთ თავისუფლების პრინციპი,რომელიც დღევანდელ განვითარებულ ქვეყნებშ ყველგან დაცულია. ეს არის კულტურის ერთ ერთი გამოხატულება,რომ მეუღლეებმა ცივილურად დაამთავრონ,ერთ დროს,თავიანთი მიღებული გადაწყვეტილება. ძველ საქართველოში,სამართალი კრძალავდა განქორწინებას. ამის მიზეზი იყო საკმაოდ ბევრი რამ.მთავარი მიზეზი იყო ქალი.რადგან ქალს სახელს უფუჭებდა ეს ყველაფერი და მისთვის მრუშობის ტოლფასი იყო.განათხოვარ ქალზე არავინ აღარ ქორწინდებოდა. თუმცა მაინც იყო

[33]მ.ბექაია,ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები''მეცნიერება",.თბილისი.,1980,გვ52

შემთხვევები რომ ხდებოდა განქორწინება მეუღლეთა შორის. უბრალოდ ეს არანაირად არ იყო გაფორმებული არც იურიდიულად და არც არავის დასტურით.მოგვიანებით,ქრისტიანულ ქვეყნებში ნელ -ნელა დაშვებული გახდა განქორწინება ოღონდ უკიდურეს შემთხვევებში. ეს შემთხვევა იყო როცა მეუღლე ჩადიოდა ცოდვას მეორე მეუღლის წინაშე. მამაკაცების მხრიდან უფრო ხშრად იყო ასეთი შემტხვევები,რადგან ხშირად მრუშობდნენ და მათი მრუშბა ისე არავის ხვდებოდა თვალშ როგორც ქალის. ამ დროსაც ქალი საკმაოდ დაჩგრული იყო და კაცის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. დღეს,როცა ვფიქრობ, რომ ქალსაც და კაცსაც აქვთ თანაბარი უფლება,როცა მოესურვებათ დაქორწილდნენ ან განქორწინდნენ ეს არის უდიდესი მიღწევაჩვენი ქვეყნისთვის და საოჯახო სამართლისთვის.ეს მიუთითებს რომ ქალებს არანაირი შეზღუდვა არ აქვთ და ასარგებლობენ იგივე პრივილეგიებით რა პრივილეგიითაც სარგებლობენ მამაკაცები.

პრობლემის არსის გაეგბაში,თურ ატომ მოხდა განქორწინება,დიდი წვლილი მიუძრვის ,რა თქმა უნდა,მესამე პირსაც.ვის გამოც მოხდა განქორწინება.შეიძლება ეს ყოფილიყო ახლობელი,რომელიც ენას მიუტანდა ცოლს ან ქმარს მისი მრუშობის შესახებ.შუა საუკუნეებში ამიისთვის ძალიან ისჯებოდნენ ასეთი ადამიანები,რადგან ოჯახი როგორც დღეს ,ისე მაშინაც პირველ ადგილას იდგა მთელი სახელმწიფოსთვის და მის დაშლაში მონაწილე ყველა პირი იყო დამნაშავე.ნორმები,რომელიც ქორწინებას და განქორწინებას აწესრიგებდა,განსხვავებული იყო ყველა დროს. თანდათანობით ეს ნორმებიც დაიხვეწა და უფრო მოერგო დღევანდელ ცხოვრებას.განქორწინება ხშირ შემთხვევაში არის აუცილებელი,რადგან ამის გარეშე უკვე ოჯახი ისეთ სახეს იღებს,რომ იქ არანაირი სიყვარულის და პატივისცემის ნიშანი არ ჩანს.ამის მერე იწყება ძალადობა,კამათი და ოჯახშ სადაც ბავშვია,ამის ყურება ძალიან რთულია და გაუსაძლისი.მომავალში ის შეიძლება სწორედ ასეთივე მოძალადე გახდეს როგორიც ვთქვათ მამამისია. ეს კი მის მენტალურ ჯანმთელობას ძალიან ავნებს. საზოგადოების ინტერესი ამ შემთძვევაშ ძალიან მაღალია,რომ თითოეულმა

ადამიანმა გაითავისოს ის ფაქტი ,რომ განქორწინება არ არის სირცხვილი,როცა ამის საჭიროება დგება წყვილებს შორის. ეს არის პირიქით აუცილებელი და მადლობის მეტი არაფერი გვაქვს სათქმელი სახელმწიფოსთვის ასეთი კანონი რომ არსებობს და ასე ყურადღებით ზრუნავენ თითოეულ ოჯახზე.

როდესაც მეუღლე გარდაიცვლება,ეს ავტომატურად ნიშნავს იმას,რომ ქორწინება წყდება.ამ შემთხვევაში აღარ არის აუცილებელი ეს ყველაფერი რეგისრაციაში მოხდეს და დარეგისტრირდეს. პირი როდესაც გარდაიცვლება ამის შესსახებ სასამართლოს მიერ დგინდება,რომ ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა და ავტომატურად შეწყდა ქორწინება.სასამართლო წესით პირი გარდაცვლილად ცხადდება თუ ხუთი წელი ეს ადამიანი არ ჩანდა იმ ადგილას სადაც ის ცხოვრობს.თუ დაკარგულია და ფიქრობენ,რომ უბედური შემთხვევი შედეგად შესაძლებელი იყო მისი დაღუპვა.კიდევ ერთი გარემოებაა ისეთი შემთხვევა რომელიც შეგვიძლია მივაწეროთ უბედურს, და არანაირი ცნობა ამის შესახებ არ იქნა მოპოვებული 6 თვის განმავლობაში. ასეთ დროს,სასამართლო ადგენს ამ მიზეზებს თუ რატომ მოხდა ,და ამის შემდეგ უკვე მეუღლეები ცხადდებიან განქორწინებულად. ყოფილა ისეთი შემთხვევბი,როცა ქალბატონის მეუღლე არ გამოჩენილა სამი წლის განმავლობაში და ის ფიქრობს,რომ უკვე აღარ არის ისი ცოლი,მიუხედავად იმისა,რომ არანაირი განქორწინების საბუთი მას ხელში არ უკავია და არ არის განქორწინებული,ხანდახან სხვა ადამიანთანაც დაუწყია ურთიერთობა და ჩაუთვლია,რომ ის ახალი ქმარია და მისი ყოფილი ქმარი აღარ გამოჩნდება.შეიძლება არ გამოჩნდეს,მაგრამ ხუთი წელი აუცილებელი ვადაა რომ დაელოდოს და შედგომ სასამართლოს გზის მოხდე მათი განქორწინება. ეს არის კანონი,რომელიც ყველასთვის ვრცელდება და ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

ამიტომ,რდესაც საბუთი გვიჭირავს ხელში, სადაც ყველაფერი გარკვევით წერია, ქორწინებაც და განქორწინებაც, ეს ნიშნავს რომ პირს შეუძლია კანონის ფარგლებში იმოქმედოს და გააკეთოს რაც მისთვის არის მისაღები.

ახლა ვისაუბროთ მეუღლეებს შორის განქორწინებაზე,რომლებიც არიან ორივე ცოცხალი და თავისი ნებით გადაწყვიტეს მათ განქორწინება.ორივენი თავისუფლები არიან განქორწინების საკითხში ,მაგრამ ეს არ გულისხმობს,რომ ნებისმიერ დროს შეიძლება ამის გაკეთება.სარეგისტრაციო ორგანოში წყვილებს შეუძლიათ მივიდნენ და თავიანთი ქორწინება უარყონ და ისინი მიიღებენ ამის დამადასტურებელ ცნობას.ანუ განქორწინების ორი მეთოდია:ეს არის სამაართლოს დახმარებით და ადმინისტრაციული წესის გამოყენებით.ორივე წესს აქვს ერთნაირი ძალა და არცერთი არ არის ერთმანეთზე მაღლა მდგომი. განქორწინება ორივე შემთხვევაში პირებს შორის ხდება და იმ მომენტშვე წყდება,როცა ამის შესახებ გამოტანილ იქნება დასკვნა თუ ცნობა .

რა ხდება როცა ცოლს უნდა განქორწინება და კაცს არა? ამ შემთხვევაში ებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ცოლმა რომ მას სურს განქორწინება და შეიტანონ საბუთები ამის მოსაგვარებლად. მაგრამ თუ კაცი მოინდომებს განქორწინებას,მარა,ქალი არის ორსულად ან ბავშვი არ არის ჯერ ერთი წლის მაშინ განქორწინება მხოლოდ იმ შემთხვევაშ იქნება დასაშვები,თუ ცოლი ამაზე თანხმობას იტყვის.[34]ეს კანონი საკმაოდ კარგად არის მოწესრიგებული და პირდაპირ იცავს ქალის უფლებებს,რადგან ორსულობაში მყოფი ქალი ან ჩვილი ბავშის მქონე ქალი,ვერ მოახერხებს იმდენად კარგად თავის რჩენას,როგორც ამას მოახერხებს მისი მეორე ნახევარი. კანონი ხაზს უსვამს ,რომ ასეთ დროს ქალს უფრო მეტი ყურადღება მოეთხოვება,და უფრო მეტად არის კონტროლი ბავშვზე,რომელიც ჯერ ძალიან პატარაა და მისი რჩენის და გაზრდის ვალდებულება ასევე მამასაც აქვს.ამიტომ თუ მეუღლე გადაწყვეტს,რომ ის თვითონ აღზრრდის ბავშვს და მას პრობლემა არ შეექმნება ,მაშინ შეიზლება სასამართლომ გამოიტანოს დაკსვნა,რომ ისინი განქორწინდნენ. თუმცა,კარგად უნდა იყოს გამოკვლეული ხომ არ არის სადმე ძალდატანების ნიშანი ან ძალადობი ქალის მიმართ ამ გადაწყვეტილების მიღების

[34]რ.შენგელია,ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი,.თილის.,1999,გვ 39

დდროს. ჩემი აზრით,ფსიქოლოგიც უნდა იყოს ჩართული ასეთ დროს და კარგად გამოიკვლიონ ქალი ნამდვილად თვითონ იღებს თუ არა ამ გადაწყვეტილებას.

აქ უკვე ქალის როლი საკმაოდ გათანაბრებული კაცთან და ვფიქრობ,უფრო მეტიც.

მამაკაცი ელოდება ქალის თანხმობას ყოველივე ამაზე.

სახელმწიფო ორგანოებში,შეილება განცხადება შეტანილი იყოს განქორწინებაზე,ორ სიტუაციაში. პირველი,როცა ორივე მუღლე არის თანახმა და ორივეს სურს განქორწინება და მაშინ როცა,განქორწიენბას მხოლოდ ერთ ერთი მეუღლე ითხოვს და მისი სურვილია. ის ორგანო სადაც განცხადება იქნება შეტანილი,არ არის ვალდებული რომ მეუღლეები ერთამნეთს შეარიგოს,ან თუნდაც მიზეზები არკვიოს რატომ მოხდა და რატომ მივიდნენ ამ გადაწყვეტილებამდე. თვითონ მეუღლეები არიან ვალდებულები განცხადებაშიჩაწერონ მიზეზები,რის გამოც ხდება მათი დაშორება. ვადებს რაც შეეხება,სამოქალაქო რეესტრი ამ ყველაფერს განიხილავს ერთ თვეში ,ხშრად ჰგონიათ წყვილებს,რომ განცხადების შეტანის მომენტიდან ისინი აღრ არიან კაონიერი ცოლ ქმარი. მაგრამ ეს ასე არ არის.ისინი კანონის წინაშე მხოლოდ მაშინ განქორწინდებიან ,როცა სარეგისტრაციო ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას ამის შესახებ,ვადა კი არის ერთ თვიანი შესაბამისი ორგანოსთვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი ტვალსიწინებს საფუძვლებს,რის გამოც ხდება განცხადების შეტანა და განქორწინებისთვის.პირველ რიგში ე ხდება მაშნ,როცა ერთი მეუღლე არის დაკარგული და არ იციან მისი ადგილსამყოფელი.მეორე არის ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის საფუძველზე,და თუ სამი წელი მიუსაჯა საასამართლომ პირს თავისუფლების აღკვეთა.ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ,1125-მუხლი, ადგენს სწორედ ამ პირობებს. მიუხედავად იმისა,რომ პირი შეიძლება დაკავებული იყოს,მასთან ციხეშივე შეიძლება,როგორც განქორწინება,ისე დაქორწინება.წინა თავში

ავღნიშნეთ,რომ ხშირია შემთხვევები,როცა ისინი ციხეში ქორწინდებიან და იქმნება ასე ოჯახი,სარეგისტრაციო ორგანო მიდის ციხეში და იქ ატარებენ ცერემონიას.

პირი თუ გამოცხადებულია უგზო უკვლოდ დაკარგულად,მეუღლეს განქორწინება ჩაეთვლება კანონიერად მაში , როცა ამას სასამართლო გადაწყვეტს და მიიღებს შესაბამის განაჩენს. არის შემთხვევები, როცა ხდება კონკრეტული პირი მხარდამჭერის მიმღები. ხშრად ის საფუძველია უდაო ქორწინების.

როგორია სასამრთლოს წესით განქორწინების თავისებურებები.ეს ,რა თქმა უნდა ბევრ პროცედურებთან არის დაკავშირებული. სამსართლო პირველ რიგში,ადგენს რატომ მოხდა,რა მიზეზით განქორწინება. იკითხება მოწმე ან მოწმეები,დოკუენტების გადახედვა და თუ საჭირო გახდა მისი გამოთხოვა.თუ სარეგისტრაციო ორგანო არანაირი კუთხით არ ერეოდა პირთა გადაწყვეტილებაში განქორწინების შესახებ,სასამართლო მაქსიმალურად ცდილობს გააარჩინოს ოჯახი და წყვილები. კანონი დაზუსტებით არეგულირებს იმ გარემოებებს, რის საფუძველზეც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

როდესაც ორივე მეუღლე განქორწინების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს,ისინი ორივე ვალდებულია, რომ სასამართლოში შეიტანონ განცხადება.აუცილებელი პირობაა, რომ ამ განცხადებაშ მითითებული იყოს მიზეზი,რის გამოც ხდება პირთა განქორწინება. არსებობს ჩამონათვალთ ანუსხა,რომლის მხიედვითაც, აუცილებელი ამითითებული იყოს სად მოხდა და როდის ეს ქორინება რეგისტრირებული, არსებობს თუ არა ქორწინების შედეგად დაბადებული შვილები,მათი ასაკი, აქვთ თუ არა გადაწყვეტილი ბავშვს ვინ არჩენს ,ვინ აღზრდის და სხვა მრავალი მოთხოვნა რომელსაც ითვალისწინებენ შემდგომშ უკვე მოსამართლეები საქმის განხილვისას. აუცილებელია,რომ განცხადების შეტანის დროს,სარჩელთან ერთდ იყოს მოწმობა, რომელიც ამტკიცებს,რომ ისინი არიან დაქორწინებულები.ასევე შვილის ან შვილების დაბადების მოწმობა, და ხელფასის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ მეუღლეთაგან ერთ-ერთი

წინააღმდეგია,მაშინ სასამართლო,ვალდებულია მაინც განიხილოს სარჩელი. სასამართლოშ განცხადება მხოლოდ მეუღლეებმა უნდა წარადგინონ. დაუშვებელი მზრუნველი პირის მიერ ან მინდობილი პირის მიერ იქნას განცხადება შეტანილი.

სასამართლო მთელი სერიოზულობით იკვლევს იმ მიზეზებს რის ამოც ხდება განქორწინება .ის ყველანაირად ცდილობს მაქსიმალურად ,ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს,რომ შეარიგოს წყვილები და გადაარჩინოს ოჯახი.თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო,ის კონკრეტულ ვადას იძლევა,რის საფუძველზეც შეიძლება გადადოს სხდომა და ამ დროის განმავლობაში შეარიგოს წყვილები. სასამართლო ვერაფერს ვერ გააკეთებს ისეთ დროს, როცა აზრი აღარ აქვს ოჯახის შენარჩუნებას, და შეიძლება მისი შენარჩუნება უფრო სახიფათო იყოს როგორც მეუღლეებისთვის სიე მათი შვილებისთვის.

სხდომა ყოველთვის არის ღია ,გარდა იმ შემთხვევებისა,როცა მეუღლეები თვითონ ითხოვენ რომ აუცილებლად დახურონ.

მეუღლეების შერიგება საკმაოდ პრობლემური საკითხია.როა მხოლოდ ერთი მეუღლე მიმართავს , ამ შემთხვევაში შეუძლებელია მეუღლეები შერიგდნენ.მათ ზუსტად აქვთ გადაწყვეტილი,რომ ისინი უნდა განქორწინდნენ და ამ აზრის შეცვლაში მათ ევრც სასამრთლო ეხმარებათ. მაგრამ მაინც ცდილობს მოსამართლე ამ ინსტიტუტს მიმართოს და წყვილებს მაინც მოუწოდოს ყოველთვის შერიგებისკენ.სტატისტიკა გვეუბნება, რომ ,ასეთი საოჯახო დავების ოცი პროცენტი ,ძირითადად სასამართლოს მეშვეობით შერიგებით სრულდება.

მეუღლეები,რომლებიც აპირებენ განქორწინება, წინასწარ თანხმდებიან თუ სად იხოვრებს ბავშვი,ვინ აღზრდის , ვინ იზრუნებს ფინანსურად.ალიმენტის თანხა.ორივე მშბელი ცდილობს თავი აარიდოს ალიმენტს და ბავშვი თვითონ დაიტოვოს, ამის გამო კი რომ ვერ თანხმდებიან სასამართლო ადგენს ვისთან იქნება ბავშვი. ზოგჯერ მშობელს,შურისძიების მომენტი აქვს ,და ბავშვის თავისთა დატოვება უნდა და ამით ცდილობს სამაგიერო გადაუხადოს მეორე მეუღლეს.

მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. მშობელსა და შვილს შორის არსებობს სულ სხვა სიყვარული, ამიტომ ორივე მშბელს ძალიან უჭირს შვილის მეორესთვის მიცემა. ეგოისტური მომენტიც არის , რა თქმა უნდა.ამ დროს,სასამართლო გამოიკვლევს მშობლების მდგომარეობას, და სადაც უკეთ იქნება ბავშვი იქ დატოვებს.რა დება ისეთ შემთხვევაში როცა მშბელს რამდენიმე შვილი ყავს.ეს ყველაზე რთული მომენტია საოჯახო სამართალში.დაუშვებელია ბავშვების დაცალკევება და მშობელბისთვის ასე განაწილება. ეს მათ ფსიქიკაზე საკმაოდ იმოქმედებს. მაგრამ როდესაც, სასამართლო ხედავს, რომ სხვა გზა არ არის და ერთი კონკრეტული მშობლის ფინანსური მდგომარეობა ვერ გაწვდება ამდენ ბავშვს,მაშნ იღებს ამ გადაწყვეტილებას და ბავშვებს აცილებს ერთმანეთს. ეს ყველაფერი ისევ და ისევ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე ხდება ,რომ ნორმალურად გაიზარდოს ბავშვი და ჩამოყალიბდეს კარგ ადამიანად.

ძალიან მნიშვნელოვნია ის ფაქტი, რომ თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას,რომ ისინი განქორწინებულები ოფიციალურად არიან.რა თმა უნდა საჭიროა სარეგისტრაციო ორგანოში მისვლა და ამ განქორწინების რეგისტრაცია.ერთერთი მეუღლის მისვლაც კი საკმარისი იქნება. თუ ამას არ გააკეთებენ,ეს ნიშნავს,რომ ქორწინება ისევ არის ძალაში. და სამართლო როდესაც ამას ხედავს ის აუქმებს თავის გამოტანილ გადაწყვეტილებას.

განქორწინების დროს, აუცილებელია გაირკვას რომელ მეუღლეს რა გვარი დარჩება.როგორც ზევით ავღნიშნე,ქორწილის დროს,ცოლმა ან ქმარმა შეიძლება შეიცვალოს გვარი და გადავიდეს მისი მეორე ნახევრის გვარზე, მაგრამ განქორწინების შემდგომ მას კიდევ შეუძლია იგივე გვარი ატაროს. ამ საკითხზე არ არის საჭირო არცერთი მეუღლის თანხმობა. თუ ცოლს ან ქმარს სურს რომ ისევ ძველი გავრი ატარსო, რასაც ქორწინებამდე ატარებდა,ჩვეულებრივ შეუძლია ისიც დაიბრუნოს და იყოს ისევ ის გვარი.

განვითარებულ ქვეყნებში განქორწინების ძალიან ბევრი პრაქტიკა არსებობს. არის სახელმწიფო სადაც ყველანაირი მიზეზით იკრძალება განქორწინება. მხოლოდ და მხოლოდ მეუღლის გარდაცვალებით შეიძლება დადგეს ის.ეს ქვეყანაა ესპანეთი,ვატიკანი.

მეორე კატეგორიის ქვეყნები კონკრეტული საკითხის გამო რთავენ ნებას განქორწინებაზე.ეს არის ღალატი ან შეურაწყოფა. მექსიკაშია ეს პრაქტიკა დანერგილი, იაპონიაში და დანიაში.

მესამე კატეგორიის ქვეყნებშ კი შედის ყველა სხვა დანარჩენი,მათ შორის სქართველოც,რადგან აქ ითვალისწინებენ ორივე მეუღლის ნებას და თანხმობას.რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქორწილის და განქორწინების დროს. საფრანგეთში და ინგლისში განვითარებული დოქტრინის მიხედვით,განქორწინება ძრითადად მეუღლეების ბრალეულობას უკავშირდებოდა.

ქორწინების შეწყვეტა საკმაოდ ტრაგიკული საკითია ზოგიერთი წყვილისთვის. არის შემთხვევები, როა სხვა გზა არ აქვთ და შრდებიან წყვილები ერთმანეთს. თუმცა შეიძლება მათ სულაც არ უნდათ ეს. ამიტომ ვამბობ ,რომ ქორწინება ეს არის უდიდესი ნაბიჯი ჩვენს ცხოვრებაში. კარგად უნდა გავიაზროთ გვინდა თუ არა ოჯახი, შვილი, რადგან შემდგომში მისი მოშლა საკმაოდ დიდ სტრესთანა რის დაკავშირებული. ყველაზე მეტად ამ დროს ბავშვზე უნდა იფიქრონ.ის მათზე მეტად განიცდის და ნერვიულობს ამ ყველაფერზე.

2.4. ბათილად ცნობილი ქორწინება

საოჯახო სამართალი,მხოლოდ და მხოლოდ აღიარებს ქორწინებას,რომელიც დარეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრში.როდესაც ხდება რეგისტრაცია ქორწინების,იმ წუთიდან მათ აქთ უფლება მოვალეობები ერთმანეთის მიმართ.რა შემთხვევაში ხდება ქორწიენბა ბათილი.იმ შემთხვევაში თუ ქორწინების რომელიმე

პირობა არ არის შესრულებული და დარღვეულია. ბათილად ცნობა ნიშნავს,რომ ეს ურთიერთობა თავიდანვე არ იყო წარმოშობილი[35].

არის ისეთი შემთხვევები,როცა მეუღლეებმა არაფერი იცოდნენ ქორწინების ატილობის შესახებ.ეს ნიშნავს,რომ მათ განზრაც არ გაუკეთებიათ ისეთი რა,რაც ქორწინების ბათილობას გამოიწვევდა.

სასამართლო ადგენს იმ გარემოებებს,რის გამოც ხდება ქორწინების ბათილობა.პირველი ეს არის დაქორწინება იმ პირებს შორის რომლებიც იმ მომენტში იმყოფებიან ქორწინებაში. მეორე ეს არის ნათესაური კავშირი.არ აქვს მნიშვნელობა დაქორწინების დროს ეს იციან თუ არა წყვილებმა.

ასევე და ძმებს შორის რომელიც შეიძლება იყვნენ ბიოლოგიური

ან არაბიოლოგიური. ასევე იმ პირებს შორის რომელთაგან ერთი მაინც არის ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი.

რა როლი უკავია სასამრთლოს ქორწინების ბათილობაში.ამ შემთხვევაში სასამრთლოს აქვს უფლება, იმ მომენტში გააბათილოს ქორწინება,როცა იმ გარემოებების შესახებ შეიტყობს,რაც საფუძველია ბათილობის.

თუ გამჟღავნებული იქნება ,რომ მეუღლეთა მიზანი არ არის ოჯახის შექმნა მაშინ ეს ქორწინება აუცილელბლად ბათილად ჩაითვლება. ეს არის ქორწინების ფიქციურობა,რომელიც არ ნიშნავს,რომ ნამდვილი ოჯახის შექმნის მიზანს ემსახურება.ფიქციური ქორწინების დროს მოტივი და მიზანი არის მაგალითად კონკრეტული ანდერძის მიღება. ასევე მამაკაცები ხშრად მიმართავენ ჯარში წასვლა როდესაც არ უნდა,ქორწინდებიან და აფორმებენ ფიქციურ ქორწინებას.თუ მხოლოდ ერთი მეუღლის მიზანი იყო ფიქციურობა და მეორემ ამის შესახებ არაფერი იცოდა,მაშნ ბათილად არ ცაითვლება ქორწინება. აქედან გამომდინარე,თუ ორივე მეუღლეს მიზანი არის მხოლოდ და მხოლოდ ფიქციური ქორწილი რაიმე

[35]ს.ჯორბენაძე,საოჯახო სამართლის საფუძვლები,კრებულში, სამართლის საფუძვლები,.თბილისი.,1977,გვ 485

სარგებელის მიღების მიზნით, სასამართლოში სარჩელი შეუძლია შეიტანოს სარეგისტრაციო როგანომ, მაგრამ თუ მხოლოდ ერთი მეუღლის განზრახვა იყო ეს ყველაფერი,მაშინ მეორე მეუღლეს აქვს უფლება შეიტანოს სარჩელი სასამართლში და აღძრას საქმე.[36]

შეიძლება მოხდეს ისე,რომ ქორწინების ფიქციურმა სახემ დაკარგოს თავისი ფუნქცია.ეს ხდება მაშინ,როცა მეუღლეები გადაწყვეტენ ნამდვილად ოჯახის შექმნას.

ქორწინების ბათილად ცნობა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.არავის აქვს უფლება თავისი ნებით ჩათვალოს ქორწინება ბათილად. აუცილებელია არსებობდეს სასამართლოს განჩინება ამის შესახებ. ქორწინების ბათილობის დადებით მხარედ შეგვიძლია ჩავთვალოთ მისი თვისება, რომელიც წყვილებს აძლევს შანსს რომ გამოასწორონ თავისი დანაშაული და თუ სურვილი ექნებათ შექმნან ოჯახი.ეს არ არის აუცილებლად მუდმივი ხასიათის.ქორწიენბსი გაბათილების შემდეგ,შესაძლებელია პირების ხელახლა ქორწინება,ოღონდ უნდა წარმოადგინონ ბატილობის მოწმობა.

[36]საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო,სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე.თბილისი 2003 N 12, გვ3288

თავი 3. მეუღლეთა ურთიერთობები

3.1. სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობანი მეუღლეთა შორის

მეუღლეებს შორის ქორწინება,ეს არის საკმაოდ რთული და მრავლისმთქმელი ურთიერთობა.ყველა პრობლემა რაც მათ წინაშეა,არ რეგულირდება კანონით.ხანდახან არის შემთძვევები,რომ ეს შეიძლება დარეგულირდეს ზნეობრივი ნორმითაც.ქონებრივი ურთიერთობები,რასაც კანონი ესაჭიროება მას ვერ დააგენენ მეუღლეები ზნეობრივი ნორმებით.ის მხოლოდ კანონით უნდა დაგინდეს.სწორედ ეს არის ურთიერთობა მეუღლეებს შორის,რომელსაც სამართლებრივი ურთიერთობა ეწოდება.[37]

როდესაც წყვილებს შორის ხდება რაიმე ქონების ან უფლება მოვალეობების განაწილება , პირველ რიგში არ უნდა დაგვავიწყდეს თანასწორობის პრინციპი.ეს პრინციპი სულ თან დასდევს საოჯახო სამართალს. ახალი არ არის ჩვენთვის, რომ მეუღლეებს წარმოეშობათ თანაბარი უფლებები და მოვალეობები ყველანაირი საკითხის მიმართ. არსებობს მეუღლეთა როგორც პირდი ისე ქოებრივი ურთიერთობა.ქონებრივი ურთიერთობა შეიძლება წარმოეშვათ მხოლოდ

[37]რომან შენგელია,ეკატერინე შენგელია.საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.თბილისი.,2015,მერიდიანი,გვ111

ქორწინებიშ შემდგომ,ხოლო პირადი უფლებები ეს მანამდეც არის შესაძლებელი რომ მათ ჰქონოდათ. ქონებრივი ურთიერთობების დროს კატეგორიულად იკრძალება,დისკრიმინაციის შემცველი ელემენტების გამოყენება,როგორიც არის რელიგიის ან რასობრივი კუთხით, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა.ყველანაირი დავა უნდა გადაწყდეს საერთაშორისო პრინციპებზე დაყრდნობით და მათი არ შერულება, არის საკმაოდ დიდი დანაშაული.თანასწორობის პრინციპი, ნებაყოფლობის პრინციპი. ეს ორი ორინციპი მთავარ როლს თამაშობს მეუღლეთა სამართლებრივ ურთიერთობებში. ამ ორი პრინციპის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე სახის ურთიერთობა. ორივე უნდა იყოს თანასწორი და მათი თითოეული ნაბიჯი და გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ნებაყოფლობითობის პრინციპს,რომელიც იცავს ორივე მხარეს რაიმე სახისძალადობისგან.

3.2. მეუღლეთა პირადი ურთიერთობანი

მეუღლეებს შორის ძალიან მნშვნელოვან როლს იკავებს მათი პირადი ურთიერთობანი.ქორწინებაც,ერთ ერთი პირადი ურთიერთობაა.ქორწინება ეს არის მათ პატივისცემაზე და ურთიერთ გაგებაზე დამყარებული კავშირი.ეს არის სურვილი იმისა,რომ შექმნან მტკიცე ოჯახი[38].პირად ურთიერთობებში შეგვიძლია მთავარი ადგილი მივანიჭოთ გვარის არჩევის ეტაპს.ეს არის მათი პირადი ურთიერთობა და როგორც მათ სურთ ისე უნდა გადაწყდეს,ყოველგვარი სასამართლო დავების გარეშე. ასევე მეუღლეებმა უნდა გაითავისონ,რომ ისინი უკვე ერთი ოჯახის წევრები არიან და მათი მიზანი უნდა იყოს საოჯახო საკითხების ერთად გადაწყვეტა.[39]

ქმარი,რომელიც იძულებით მოსთხოვს ცოლს გვარის შეცვლას,ისჯება კანონით,რადგან ეს არის ძალდატანება და ძალადობა .ცოლს შეუძლია ის გვარი

[38]რომან შენგელია ეკატერინე შენგელია.საოჯახო სამართალი,.თბილისი.,2015,მერიდიანი.გვ112
[39]ჩიკვაიშვილი.,შ.საოჯახო სამათალი.,თბილის.,2004.,მერიდიანი

ატაროს რომელიც მას პირველ ქორწინებაში ჰქონდა,პირველი ქმრისგან.შეიძ ᲦᲑა ისე მოხდეს,რომ მეუღლეებმა გადაწყვიტონ საერთო გვარის ტარება, და გააერთიანოან თავიანთი გვარები.

რაც შეეხება სამუშაოს არჩევას.რომელიც ასევე პირად ურთიერთობებში გადის .სამუშაოს ირჩევს პირი,საკუთარი ნებით და სურვილით. ისევე როგორც თავის პროფესიას. არანაირი უფლება არ აქვს რომელიმე მეუღლეს მას ამაში ხელი შეუშალოს ან ის სამსახური დააწყებინოს რომელიც მას სურს.მეუღლეების თავისუფალი ნების გამოხატულებაა ასევე საცხოვრებელი სახლის არჩევის საკითხი.სად იცხოვრებენ წყვილები თვითონ ირჩევენ ამ საკითხს. ერთი მეუღლე თუ შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს ეს არ ნიშნავს,რომ აუცილებელია მეორემაც შეიცვალოს [40].

როცა საუბარია სახლზე,სადაც ცოლ-ქმარი იცხოვრებს,ნაგულისხმევია ხოლმე აუცილებლად ქმრის სახლი.ეს იყო წესი და კანონი ცოლისთვის,რომ მეუღლის სახლში ეცხოვრა.თუმცა დღეს ეს აბსოლუტურად დამოკიდებულია მეუღლეთა საერთო გადაწყვეტილებაზე,თუ ვვის სახლში იცხოვრებენ.ცოლის თუ ქმრის.

მეუღლეთა პირად ურთიერთობას წარმოადგენს,ასევე, შვილები და მათი რაოდენობა.არსებობს ოჯახები,რომლებიც ოჯახის შექმნის შემდეგ,თვლიან,რომ ისინი არ არიან მზად ჯერ შვილისთვის და ამიტომ თავს იკავებენ მისი გაჩენისგან.ასევე მეუღლეები თავად წყვეტენ როგორ გაზარდონ,რა სტილით ბავშვები და როგორ აღზარდონ ისინი. მშობლების ვალდებულებაა რომ პირველ რიგშ შვილები იყვნენ ზნეობრივად გაზრდილები ,ასევე გონებრივი თვალსაზრისით და რაც მთავარია ფიზიკურად იყვნენ ჩამოყალიბებული ადამიანები.[41]

ცოლი და ქმარი ორივე ერთნაირი უფლებით არგებლობს შვილების წინაშე.ძველ ქართულ სამართალში ხშირად არის ნახსენები,რომ მამის

[40]Газета „Аргументы и Факты“, N39, от 9 августа, 2002.
[41]რომან შენგელია,ეკატერინე შენგელია.საოჯახო სამართალი.თბილისი.,2009,მერიდიანი.

გადაწყვეტილებას ,შვილის აღზრდასთან დაკავშირებით უფრო უპირატესობა ენიჭებოდა,ვიდრე დედის ნათქვამს. ეს ისევ და ისევ იმიტომ,რომ ქალის როლი ოჯახში მინიმუმად ეიყო დაყვანილი.შესაბამისად შვილის მხოლოდ გაჩენა ევალებოდა მას და გამოკვება. დანარჩენი იყო მამაკაცი,რომელიც იღებდა გადაწყვეტილებას შვილის აღზრდასთან ,განათლებასთან და გათხოვებასთან ან დაქორწინებსთან დაკავშირებით.როგორხც მამა იტყოდა ისე იქნებოდა ყველაფერი.იმაზე გაათხოვებდა ვინც,მას უნდოდა. მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა და ქლაის როლი უფრო გაიზარდა ოჯახშ და მითუმეეტს შვილებთან დაკავშირებით.ახლა უკვე მხოლოდ მამაკაცი არ წყვეტს,რა და როგორ გააკეთონ შვილთან დაკავშირებით.როივე მშბელი მსჯელობს და საბოლოო გადაყწვეტილებას იღებს.თუ ვერ შეთანხმდნენ და კამათი წარმოიშბა ამის გამო,შეუძ ₾ათ მიმართონ სასამართლოს,რომელიც გამოიყენებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესების გათალისწინება,მთელ მსოფლიოში საკმაოდ დაცული პრინციპია.იკრძალება,ყოველგვარი ძალადობა ბავშვის მიმართ ნებისმიერი მშბელი მიერ.მშობლები ვალდებულები არიან,აღზარდონ ფსიქიკურად მშვიდი და გაწონასწორებული ბავშვი.თუ სახელმწიფო შეატყობს,რომ ბავშვი ისეთ ოჯახში იზრდება,სადაც მისზ ძალადობა ხდებაროგორც ფიზიკური ისე მორალური,ან თუნდაც სექსუალური,მაშინვე იღებს გადაწყვეტილებას,მეურვეობის ჩამორთმევაზე.მთვარი პირობა მშბელსა და შვილებს შორის არის დაცული იყოს მაქსიმალურად ბავშვის ინტერესები.

ძალიან ბევრი ცნობილი იურისტის აზრით,დედას უფრო მეტი უფლებები უნდა ჰქონდეს ბავშვის მიმართ კონკრეტულ საკამდე ვიდრე მამას და ეს სამართლოს მხრიდან გათვალისწინებული უნდა იყოს. მაგალითად ,ადამიანი ორგანიზმი ისეა მოწყობილი,რომ პირველი ინსტიქტები ბავშვს უფრო მეტად დედის მიმართ აქვს ვიდრე მამის.სწორედ ასეთ დროს,თუ მშბლები განქორწინებას გადაწყვეტენ,ჩემის აზრითაც,სასამართლომ დედის მხარე უნდა დაიჭიროს,თუმცა გამონაკლისი შემთხვევბიც არსებობს,როცა დედა ფსიქიკურად აშლლილია,ან ნარკომანია რა თქმა

უნდა ,მას ბავშვს ვერ დაუტოვებენ. როდესაც დავა მიმდინარეობს მეუღლეებს შორის ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით,სასამართლო დიდი ყურადღებით განიხილავს თითოეულ ფაქტს მშობლებთან დაკავშირებით.როგორ უვლიან ბავშვს,თვითონ ბავშვს რა უნდა? დედასთან უნდა თუ მამასთან. რომელთან გრძნობს თავს უფრო კომფორტულად. პირველ რიგშ,ბავშვის ინტერესებს ითვალისწინებენ.ბავშვის ინტერესი ეს კონკრეტული რაღაც განმარტების მქონე არ არის.ეს ინტერესი უკავშირდება დონეს,რომელიც ბავშვის ნორმალურ განვითრებას უწყობს ხელს, სადაც გათვალისწინებულია ის ფაქტიც,რომ ოჯახში სუფევს მის მიმართ სიყვარული და იზრდება ის სითბოში,თვითონ ცხორების წესი ოჯახის,რომელშიც შედის დონე და მათი კულტურა. აი ეს არის ბავშვის ინრესი,რომლის საფუძველზეც სამართლო იღებს გადაწყვეტილებას. თუ ეს ყველა ინტერესი დაცულია ის ფიქრობს,რომ ბავშვი იზრდება ნორმალურ გარემოში და ის შეძლებს მომავალშ იყოს ისეთი პიროვნება,რომელიც სახელმწიფოს „გამაოდგება“ კარგ საქმეებში.

ძალიან მძიმეა სამართლოსთვისაც ,ისეთი ტიპის საქმეები,რომელიც ბავშვის თემას ეხება. რთულია მოსამართლისთვის,როდესაც უყურებს ორივე მშობელს და ბავშვს,რომელთაც უნდათ ეს ბავში . მაგრამ მან უნდა გადაწყვიტოს, საბოლოოდ ვის დარჩება ეს ბავშვი.ეს კი ძალიან მძიმე გადასაწყვეტია ადამიანური თვალსაზრისით.

3.2. ქონებასთან დაკავშირებული ურთიერთობანი

ადამიანს საკუთრი სურვილების დასაკმაყოფილებლად და საარსებოდ სჭირდება შემოსავალი.ეს შემოსავალი შეიძლება იყოს მისი პირადი სამსახურიდან მიღებული და მეუღლეთ შორის შეიძლება იყოს ერთერთი მეუღლის შემოსავალი.მათი ვალდებულებაა ერთამენთი არჩინონ და იზრუნონ ერთმანეთზე.შემოსავლის გარდა არსებობს ქონება რომელიც თავისთავად იყოფა

რამდნეიმე ნაწილად.ეს ქონება შეიძლება იყოს კონკრეტული პიირის(ვგულისხმობმეუღლეთაგან ერთ-ერთს).ცოლ ქმარს შორის ქონება შეიძლება იყოს ორი სახის.ეს არის პირადი ქონება,რომელსაც ის ფლობს და ფლობდა ქორწიებამდე,და ქონება,რომელიც ქორწინების შემდგომ ფლობს.ასეთ საკუთრებებს თანაზიარი საკუთრება ეწოდებათ.პირადი ქონება არის ინდივიდუალური ხასითის და ის ეკუთვნის მხოლოდ ქმარს ან ცოლს.თვითონ წყვეტსამ ქონებაზე რა ქნას და როგორ ქნას.როგორც ავღნიშნეთ ინდივიდუალური ქონება არის ის რაც პირს ქორიწნებამდე ჰქონდა. მაგრამ თუ ქორწინების პერიოდში სხვა ადამიანი ერთ-ერთ მეუღლეს აჩუქებს რაიმე ქონებას,ესეც ინდივიდუალურ საკუთრებად ჩაითვლება.ასევე ისეთი ქოენბა,რომელიც მემკვიდრეობით იქნა მიღებული არის პირადი და მეორე მეუღლის უფლებები ამაზე არ ვრცელდება.[42]

მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება არის ის,რაც ქორწინების პერიოდში შეიძნეს მეუღლებმა.მაგალითად სახლი,რომელიც ერთობლიდავ შეიძინეს ან თუნდაც მხოლოდ ერთმა მეუღლემ ,მაინც ითვლება ის საერთო ქონებად.

საოჯახო სამართალი ითვალისწინებს ისეთ გარემოებეს,რომლის დროსაც მეუღლეების შეთანხმებით შეიძლება მხოლოდ ერთი მეუღლე განკარგავდეს თუნდაც თანაზიარ საკუთრებას.

ქონება შეიძლება იყოს მოძრავი და უძრავი,შესაბამისად მათი სამართლებივი ხასითი სხვადასხვაგვარია.ურავი ქონების შემთხვევაში აუცილებელია მესაკუთრე დარეგისტრირებული იყოს სარეგისტრაციო ორგანოში და უფლებრივად იყოს მისი მესაკუთრე.სხვა შემთხვევაში ს ვერ განკარგავს ამ ქონებას.

სწორად უნდა გავიგოთ თანაზიარი საკუთრების განმარტება.ეს არ ნიშნავს იმას,რომ რაც ქორწინების პერიოდში იქნება ნაყიდი ყველაფერი თანასაკუთრებად შეიძლება ჩაითვალოს.საერთო საკუთრება არის მხოლოდ საერთო ფულით ნაყიდი

[42]Р Саватьс, Теория обзательств . М.,1972, с 58

ქონება,რომელიც მეუღლეებმა შეიძენს ქორიწნების პერიოდში[43].ასევე ის ქონება, რაც უნდა გამოიყენონ პირადი საკუთრებისთვის და საერთო მოხმარებისთვის.ზოგს ჰგონია,რომ საერთო საკუთრება არის ტანსაცმელი ან ტუჩსაცხი ან რაიმე ისეთი ნივთი რომელიც მხოლოდ პირადად გამოიყენება.ასეთი ნივთები არ შეიძლება ჩაითვალოს თანასაკუთრებად.

მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება ნებისმიერ დროს შეიძლება გაიყოს.პირველი შემთხვევა არის როცა დგება განქორინების საკითხი.ასეთ დროს პირებმა უნდა გაიყოს ის ქონება,რომელიც თანასაკუთრებაშია და ქორწინების პერიოდში შეიძინეს.მაგრამ,არის გარკვეული სიტუაციები,როცა სამსახურის გამო ან სხვა პირადი მიზეზების გამო,მეუღლეებს უწევთ სხვადასხვა ადგილას ცხოვრება და ისინი დგებიან თანაზიარი ქონების გაყოფის წინაშე.ხშრად წყვილი ვერ წყვეტს თვითონ როგორ გაიყოს ეს ქონება,ამიტომ ისინი მიმართავენ სასამართლოს,რომელიც კანონის გზის მეშვეობით ცდილობს გადაწყვიტოს ამა თუ იმ ქონების ბედი. დღესდღეობით,საბედნიეროდ,წყვილები იშვიათად მიმართავენ სასამართლოს ამ საკითის გამო,რადგან ძირითადად თვითონ აგვარებენ ამ საკითხს.

საყურადღებოა ის ფაქტიც,რომ მეუღლეებმა,რომელბმაც ქორწინებაში საერთო სახსრებით შეიძინეს ესა თუ ის ქონება ან ძვირადღირებული ნივთი ,განქორწინების შემთხვევაში შეიძლება საქმიანოის მიხედვით გადაეცეს ერთ -ერთ მათგანს.მაგალითად, თუ ცოლი არის პროგრამისტი, და ამის გამო მეუღლეებმა ერთად შეიძინეს კომპიუტერი ,განქორწინების შემთხვევაში ეს კომპიუტერი გადაეცემა ცოლს,რადგან მისი საქმიანობისთვის არის აუცილებელი.

სასამართლო მთლიანად იკვლევს მეუღლეთა საერთო და ინდივიდუალურ ქონებას და ამის შედგომ გამოაქვს გადაწყვეტილება.მეუღლეები ხშირად მიმართვენ ქონების გადამალვის წესს.განქორწინების პერიოდში ისინი ამ ქონებას ან ყიდიან,ან სხვა პირს უფორმებენ.მაგრამ სასამართლო ამასაც ითვალისწინებს და პასუხს

[43]საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი.სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეზე.თბილისი.,2003,N2 გვ 393

აგებინებს მის ჩამდენს.საერთო ქოენბის დავის დროს,შეიძ ᲦᲑა მთლიან ქონებაზე არ ჰქონდეთ პრეტენზია წყვილებს.მაგალითად სახლი,რომელიც ერთად შეიძინეს,ერთ -ერთ მეუღლეს შეიძლება სურდესიმ სახლის მხოლოდ ერთი კონკრეტული ოთახის თავის საკუთრებაში დარჩენა.ამიტომ სასამართლო თავიდანვე არკვევს წყვილის პოზიციას ,რა სურს მათ და რას ფლობენ ზოგადად წყვილეები.

ქონების გაყოფის დროს,ნებისმიერ ქონებაზე,მეუღლეებს აქვთ უფლება მოითხოვონ თანაბარი ნაწილი. მაგრამ შეიძლება მათ წინასწარ ჰქონდათ ეს განსაზღვრული და არ ითხოვდნენ თანაბრად გაყოფას. სასამართლო ითვალისწინებს შვილების ბედს,როცა საკუთრების გაყოფა ხდება. თუ ბავშვები დედასთან რჩებიან,და თუ ეს ბავშვები არიან არასრულწლოვნები, მაშინ თანაზიარი საკუთრების დროს, ოდნავ მეტი უნდა მისცენ დედას, რადგან მასთან ერთად არიან არასრულწლოვანი შვილები და ამის ის უპირატესობაშია. ბავშვებს სჭირდებათ რჩენა და გაზრდისთვის ნორმალური პირობები.ასევე თუ ერთ ერთ მეუღლეს არ შეუძლია მუშაობა,ჯანმრთელობის გამო და ბავშვი მასთან უნდა დარჩეს,რა თქმა უნდა ამ შემთხვევაშიც უპირატესად სარგებლობს[44] .

მეუღლეთა საკუთრების საკითხი და ქონების საკითხი ყველაზე აქტუალური თემაა საოჯახო სამართალში.მითუმეეტს როცა საქმე ეხება ამ დროს ბავშვებსაც.ქონების გაყოფის შემდეგ,დგება საკითხი ბავშვის ინტერესების დაცვის შესახებ.სამართლიანად იქნა თუ არა გადაწყვეტილება მიღებული ქონებასთან დაკავშირებიით რომელიც ასევე ბავშვებს უკავშირდება.

რა ემართება ვალს,როდესაც მეუღლეებიე რთმანეთს შორდებიან.

ამ დროსაც უნდა გაირკვეს,ეს ვალი ინდივიდუალური ხასიათის არის თუ მეუღლეებს ერთად აქვთ აღებული.თუ ინდვიდუალური ხასითის არის ის რჩება ისევ ერთერთის ვალად და მხოლოდ მისი ვალდებულებაა ამ ვალის გადახდა.მაგრამ თუ ერთობლივად აქვთ მიღებული ეს ვალი, მაშინ მათი

[44]შალვა ჩიკვაიშვილი საოჯახო სამართალი.თბილისი.,2004.,მერიდიანი.

განქროწინების შემთხვევაში,თანაზიარი საკუთრებიდან მოხდება ამ ვალის გადახდა,და არცერთ არ ექნება იმის ვალდებულებარომ მხოლოდ მან გადაიხადოს. ამ დროსაც სწორად უნდაიმსჯელოს მოსამართლემ და გაარკვიოს,ეს ვალი საიდან მოდის, რა მიზანს ემსახურება, რატომ აიღეს და მხოლოდ ერთი მეუღლის ახირების გამო ხომ არ მოხდა ამ ვალის აღება.

მეუღლეთა ქონების გაყოფის საკითები,საკმაოდ შეიძ Ჭბა დიდხანს გაგრძელდეს,რადგან ყველაზე ხშრად ამ საკითხთან დაკავშირებით აკითხავენ მეუღლეები სასამართლოს.ვადა არის სამი წელი,რომლის დროსაც ხდება ამ საკითხებზე მსჯელობა და გარკვევა სასამართლოს მიერ.საკამოდ დიდ დროს მოიცავს ეს ყველაფერი,რადგან უნდ გაირკვეს,თითოეული მეუღლის პირადი საკუთრება,ასევე მიზანი,მოტივი,საერთო საკუთრება.რა შეიძინეს მათ ქორიწნების დროს და თითქის ყველაფერი,რაც ამ ქონებას ეხება.ვადა აითვლება განქორწინების წუთიდან როცა რეესტრში მოაწერენე ხელს ისინი განქორწინების თაობაზე.

თავი 4. საქორწინო ხელშეკრულების თავისებურებანი

4.1. საქორწინო ხელშეკრულება

საქორწინო ხელშეკრულება საკმაოდ დიდი როლი უკავია წყვილებს შორის. უამრავ პრობლემას აგვარებს და თავიდან არიდებს მეუღლეებს სასამართლოში დავას და პრობლემებს. ეს არის იგივე საქორწინო კონტრაქტი,რომეშიც გაწერილია ყველა ის მოთხოვნა რაც მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ.მათ შეუძლიათ ზუსტად ჩაწერონ მათი მოთხოვნები,სურვილეი,რომლებიც ზუსტად უნდა იყოს შემდგომში შესრულებული. ეს არის ერთერთი გარიგება რომლის სახეც უნდა იყოს წერილობითი ხასიათის და რომელსაც ორივე მეუღლე ხელმოწერით ადასტურებს. [45] დღესდღეობით საქორწინო კონტრაქტი არ არის კარგად დანერგილი ჩვენს ცხოვრებაში და ხშირ შემთხვევაში წყვილები მას არ ირჩევენ. არანაირად არ წარმოადგენს მეუღლეებს შორის რაიმე ვალდებულებას ეს კონტრაქტი,ის უბრალოდ მათ ნება სურვილზეა დამოკიდებული. მას მიმართავენ ძირითადად ის წყვილები,ვინ სამართალთან ახლოს არიან და უფრო გარკვეულები არიან ამ საკითხებში.საქორწინო კონტრაქტსი გაწერილია ის უფლება მოვალეობები,რაც

[45]რომან შენგელია.საოჯახო სამართალი.,თბილისი.,1999.მერიდიანი,გვ 99

მეუღლეებმა უნდა გააკეთონ ქორწინების პერიოდში. ასევე ქონებრივი უფლებები,რომელიც წყვილებმა უნდა თავიდანვე გარკვევით ჩაწერონ შესაბამის კონტრაქტში. დიდ როლს თამაშობს განქორწინების დროს,რადგან მათ კონტრაქტით წინასწარ იციან უკვე განქორწინების შემთხვევაში ვის რა რჩება და ვის რამდენი ეკუთვნის. მაგრამ,თუ წყვილი არ არის დარეგისტრირებული სარეგისტრაციო ორგანოშ,როგორც ცოლ-ქმარი,მაშინ ისინი ვერ შეადგენენ საქორწინო კონტრაქტს,შესაბამისადგინდაც შეადგინონ მას არავითარი სამართლებრივი ძალა არ ექნება. კონტრაქტი უნდა დაიდოს ყველანაირი წესების დაცვით. პირველ რიგში საჭიროა ნოტარიუსის მხრიდან დადასტურება.[46]

მთავარი პირობა ისევე როგორც ქორწინების დროს ,ეს არის 18 წელი .სხვა შემთხვევაში ისინი ვერ დაოქრინებას შეძლებენ და მითმეტეს ვერც კონტრაქტის შედგენას.

როგორც ავღნიშნეთ კონტრაქტში ყველაფრის ჩაწერაა შესაძლებელი,რისი უფლება მოვალეობებიც უნდა ჰქონდეთ ცოლ ქმარს.არ შეიძლება ისეთი პირობის ჩაწერა,რომელიც შვილებთან დაკავშირებით მშობლებს არ ავალდებულებს მის აღზრდას ან რჩენას.არ თუნდაც მხოლოდ ერთი მეუღლის ვალდებულება იყოს კონტრაქტის მიხედვით.ეს ყველაფერი არის დაუშჰვებელი და ბავშვის ინტერესების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. საქორწინო ხელშეკრულება შეიცავს ყველა იმ პირობას,რომელსაც ნებისმიერი ხელშეკრულება შეიცავს.ესენია:ხელშეკრულების დადების ადგილი,საცხოვრებელი ადგილი, ვინაობა ვის შორის იდება კონტრაქტი,ხელმოწერა და შინაარსი.[47]

საქორწინო კონტრაქტის დადება ეს არის სრულიად მეუღლეებზე დამოკიდებული.მათ როცა მოესურვებათ შეუძლიათ ამის გაკეთება და თუ მისი

---

[46]ლადო ჭანტურია,შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში,.თბილისი.,1997,გვ.352

[47]თ.ზარანდია,ლ.ლაზარაშვილი,შ.ჯანხოთელი,ტიპიური ხელშეკრულების ნიმუშები.თბილისი.,2006,გვ 270

მოშლა გადაწყვიტეს ამის უფლებაც აქვთ.ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი შეწყვეტაც.ასევე შეცვლაც.

ძალიან ბევრჯერ გავიმეორე ,რომ ქორწინების შემდეგ,მეუღლეები ერთმანეთის წინაშე ვალდებულნი არიან არჩინონ ერთმანეთი,პატივი სცენ და იზრუნონ ერთმანეთზე.არაერთი სასამართლო გადაწყვეტლება არსებობს იმის შესახებ,რომ განქორწინება სწორედ იმიტომ მოხდა,რომ ერთი მეუღლე არ არჩენდა მეორეს.იმას ვერ იაზრებენ,როომ ეს არის მათი ვალდებულება და არა მოვალეობა.ამას კანონი ავალდებულებს და არავის არ აქვს უფლება კანონი დაარღვიოს.როდესაც ოჯახს ქმნი,ისიც გააზრებული უნდა იყოს,რომ ოჯახი არის დამყარებული ურთიერთ - პატივისცემაზე და სიყვარულზე.მაგრამ მატერიალური მხარე ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახის არსებობაში.მეუღლეს როდესაც არ შეუძლია მუშაობა,და ვერ ახერხებს თავის რჩენას,მეორე მეუღლე ვალდებული ა მას მიხედოს და დაეხმაროს ფინანსური თვალსაზრისით,მითუმეტეს თუ ქალი ორსუალდ არის ან ყავს ერთ წლამდე ბავშვი. მაგრამ არის ისეთი სიტუაციებიროცა ადამიანი ვერ მუშაობს,ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო,მაგრამ მას არ სჭრიდება არანაირი დახმარება მატერიალური თვალსაზრისით.ამ დროს,ის მეორე მეუღლისგან ვერ მოითხოვს დახმარებას და რჩენას.[48]

4.2. ალიმენტი დაკისრების წესი

რაც შეეხება ალიმენტს, როდესაც ცოლი და ქმარი შორდება, ქმარი ვალდებულია ცოლს გადაუხადოს ალიმენტი, ოღონდ იმშემთხევაში თუ ქმრის მდგომაროება გვაძლევს ამის საშუალებას. ალიმენტი ძირითადა დინიშნება მაშინ,როცა არსებობს არასრულწლოვანი ბავშვი და მას ესაჭიროება რჩენა .ასევე ორსული ცოლი აუცილებლად საჭიროებს რჩენას მეუღლისგან,არ აქვს მნიშვნელობა ქორწინებაში არიან ისინი თუ განქორწინებაში. ყველამ ვიცით,როგორი რთულია ორსული ადამიანის რჩენა და ცხოვრება,რადგან ჩვეულებრივ მდგომარეობაზე მეტი

[48]Жилинкова . И. *Брачный контракт* (*договор*). Харьков., 2001. с 6.

მკურნალობა და სხვა რამ სჭრიდება. ბევრი მიიჩმევს,რომ საალიმენტო ურთიერთობები განსახილველია,რადგან ამ ურთიერთობით ირღვევა მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი.რაშ მდგომაროებს ეს დარღვევა. ალიმენტს იხდის კაცი და არა ქალი. ოღონდ იმ შემთხვევაში თუ არასრულწოლოვანი შვილი ყავთ მათ. ანუ, მოკელდ რომ ვთქვათ, თუ ქალს მიანიჭებს უფლებას სასამართლო რომ ბავშვი არჩინოს გაზარდოს და აღზარდოს, მაშინ კაცს აკისრებს ალიმენტს. მაგრამ თუ კაცი დარჩებოდა ბავშვის აღმზრდელად,ქალს არ დააკისრებს სასამართლო ალიმენტს. აქედან გამომდინარე ეს ბევრისთვის თანასწორუფლებიანობის დარღვევაა და მის გადასინჯვას მოიაზრებენ. ალიმენტის რაიმე განმსაზღვრელი ვადა არ არსებობს. ალიმენტი არსებობს იქამდე სანამ საჭიროება მოითხოვს[49]. მაგრამ თუ მეუღლე,რომელიც სამართლომ აღიარა შრომისუუნაროდ ,თუმცა მოგვიანებით მან შეძლო და დაიწყო მუშაობა,ამ შემთხვევაში მეორე მხარე თავისუფლდება ალიმენტისგან. აგრეთვე თუ ორსულ მეუღლეს უხდიდა ალიმენტს და სამწუხაროდ ორსულობა შეწყდა და აღარ გაგრძელა,თუ ბავშვი რომელიც სამ წლამდე იქნებოდა დაიღუპა,თუ ყოფილი ცოლი სხვა კაცზე დაქროწინდა. ამ შემთხვევბში ალიმენტი შეწყდება და აღარ გადაიხდის პირი მას. თუ ალიმენტის გადამხდელი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა უარესობისკენ,ამ შემთხვევაშიც სასამართლო წესით ალიმენტის გადახდა შეწყდება.

[49]ო.ზოიძე.მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი,.თბილისი.,2002

დასკვნა

ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ითვალისწინებს მეუღლეთა უფლება მოვალეობებს,როგორც სამართლებრივი ისე ქონებრივი თვალსაზრისით.

ქორწინების ინსტიტუტი ოდითგანვე არსებოდა და ადამიანების განვითარებასთან ერთად ისიც ვითარდებოდა.ჩვენ ნაშრომში განხილული გვაქვს ეტაპები,როგორ განიცადა განვითარება ქორწინებამ და ზოგადად მასთან დაკავშირებულმა ინსტიტუტებმა. როგორიცაა განქორწინება,ქორწინების შეწყვეტა,ქორწინების ბათილობა და ა.შ

მთელი ნაშრომის განმავლობაში,ბევრჯერ მაქვს გამოყენებული ტერმინები თანასწორობისა და ნებაყოფლობითობის პრინციპი.ეს ორი არის ის,რიც გარეშეც ურთიერთობები,მითუმეტეს ცოლ-ქმრული ვერ იარსებებდა. საუბარი რომ დავიწყოთ მეუღლეებს შორის უფლებებზე და მოვალეობებზე,აუცილებელია იქ ვისაუბროთ აგრეთვე იმ პირნციპების დაცვაზე,რომელიც თან სდევს ქორწინებას.

ნაშრომის მიზანი არის გავიაზროთ ძველი ქართული წეს-ჩვეულებები ქორწინებასთან და განქორწინებასთან დაკავშირებით,ასევე ძველი რომაული შეხედულებები ზოგადად ოჯახზე და ქორწინებაზე,ევროპული წვეყნების მიდგომები მეუღლეთა სამართლებრივ ურთიერთობებზე . განხილულია ქონებრივი და პირადი ურთიერთობების გამიჯნა, რომელიც მნიშვნელოვანა დგილს იკავებს საოჯახო სამართლის დარგში. ასევე ალიმენტის დანიშვნის წესი და მისი ჩვეულებები.

საოჯახო სამართლის სიღრმისეულად გაცნობამ, საშუალება მოგვცა უფრო კოკნრეტულად ჩამოგვეყალიბებინა და გაგვეაზრებინა დასკვნები და გამოგვეტანა რეკომენდაციები.

1) ნაშრომი აფასებს საკანონმდებლო ნორმებს,რომელიც აწესრიგებს ამ ურთიერთობებს და ხას უსვამს მათ ხარვეზულ მგომაროებას.კერძოდ 1182 -ე მუხლი და 1152 -ე მუხლი.1152 -ე მუხლი გვეუბენება,მეუღლეები კანონის წინაშე არიან თანასწორნი და არცერთი მეუღლე არ არის ერთმანეთზე რაიმე უფლებით მეტი.მაგრამ 1182-მუხლი გვეუბნება,რომ სამ წლამდე ბავშის ყოლის შემთხვევაში,თუ აღმზრდელად იქნება ქალი,დედა,მაშინ მამა ვალდებულია გადაიხადოს ალიმენტი,მაგრამ პირიქით შემთხვევაში,ქალი არ უხდის ალიმენტს მამაკაცს. აქედან გამომდინარე ორი მუხლის ხარვეზის განმარტებაა წამოჭრილი ნაშრომში.

2) მნიშვნელოვან ყურადღებას ვამახვილებ ქორწინებაზე,სადაც ნათესაური კავშირი არსებობს.განხილული მაქვს ევროპის ქვეყნების მაგალითები ამ საკითხთან

დაკავშირებით და მათ შორის საქართველოს, როგორც ძველი, ისე ახლებური მიდგომა ამასთან დაკავშირებით. საბედნიეროდ ჩვენს კანონში ზუსტად არის გაწერილი ვის შორის არის დასაშვები ქორწინება ,თუმცა არის შემთხვევები,რაზეც კანონი არ მიუთითებს. ეს არის მაგალითად,მამიდაშვილის და ბიძაშვილის ქორწინება,ბიძა და დიშვილს შორის .ეს პირველ რიგში მომავალ თაობაზე ახდენს დიდ პრობლემას,რადგან ამის საფუძველძე ირევა სისხლი,რომელიც იწვევს უამრავ ცუდ დაავადებას.საბედნიეროდ, ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ ,სადაც ე სყველაფერი მენტალურად და ზნეობრივად ჩვენთვის მიუღებელია,თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვან თემად მივიჩნევ,და ვფიქრობ კანონში ზუსტად უნდა იყოს ჩამონათვალი ვის და ვის შორის არ შეიძლება ქორწინება. ისევ და ისევ იმისთვის,რომ მომავალი თაობა იყოს ჯანმრთელი და თავიდან ავირიდოთ სისხლის არევა. ევროპის ქვეყანაში,როგორიცაა საფრანგეთი,ზუსტად უთითებს კანონში,რომ გვერდითი შტოს ნათესავები მკანონით დაისჯებიან თუ ისინი იქორწინებენ.ასევე არის ბულგარეთი.

3) ნაშრომში განხილულია ქორწინების სამართლებრივი მდგომარეობა და პირობები,რისი დაცვაც უწევთ წყვილებს ქორწინების დროს. საქართველოს კანონში ზუსტად არის გაწერილი ქორწინების განმარტება,რომელის გულისხმობს რომ ეს არის „ქალის და კაცის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით“.ის რეგისტირირებული უნდა იყოს, შესაბამის სარეგისტრაციო ორგანოში.მთავარი მოთხოვნა ქორწინებისას არის ასაკი, რომელიც არის 18 წელი.ნაშრომში განხილული მაქვს ქვეყნების პრაქტიკა,სადაც, მინიმალური ასაკი არის 14 წელი,რომლეიც სრულიად შეუსაბამოა დღევანდელ რეალობას.ჩვენი ქვეყნის კანონი,სწორად მიუთითებს ასაკს,რადგან 18 წლის ასაკში ადამიანი ფიქრობს უფრო გააზრებულად და სწორად აღიქვამს რა არის ოჯახი.ჩემი აზრით,ამ ასაკის უფრო გაზრდაც არ იქნება ურიგო,რადგან ეს შეამცირებს განქორწინებების რაოდენობას.როდესაც წყვილიარის ეკონომიურად მყარად და მათ განათლებაც აქვთ შესაბამისი

მიღებული,აქედან გამომდინარე ის ოჯახი უფრო მყარია და ნაკლები პრობლემებით სავსე.ამიტომ,საქორწინო ასაკის ოდნავ მომატება,ვფიქრობ უფრო კარგი იქნება.

4) ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების განხილვა და მისი შეწყვეტა/ბათილობის საფუძვლები.ქორწინების დამაბრკოებელ გარემოებას წარმოადგენს ერთი პირის ან თუნდაც ორივეს სულით ავადმყოფობა,ან ჭკუასუსტობა.მხოლოდ ეს ორი ითვლება მნიშვნელოვან გარემოებად,რომელიც აბრკოლებს ქორწინებას.თუ მეუღლეთაგან ერთ-ერთს აქვს სხვა სახის რაიმე დაავადება,ეს არ შეიძლება ჩაითვალოს დამაბრკოებელ გარემოებად.მიმაჩნია,რომ ეს კანონიც გადასახედია,რადგან,არის ისეთი დაავადებები,რომელიც უნდა შევიტანოთ კანონში და ისიც დამაბრკოებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს.ასეთად მიმაჩნია შიდსი,რადგან ეს არის საკმაოდ სერიოზული დაავადება და ის არის განუკურნებელი სენი. ამიტომ ვფიქრობ რომ ეს ყველასთვის საშიში იქნება,როცა ამ დაავადების მქონე ადამიანი არის ახლო კონტაქტში და ესეც ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება უნდა იყოს.

5) მნიშვნელოვანი ყურადღება გავამახვილე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლზეც,როცა ცოლის ორსულობის და ბავშვის დაბადებიდან 1 წლის განმავლობაში ქმარს ცოლის თანხმობის გარეშე სარჩელის აღძვრის უფლება არ აქვს. ვფიქრობ ,რომ აღნიშნული არ არის თანასწორობასთან შესაბამიშობაში მოყვანილი.ვთვლი,რომ თუ ქორწინება არის ნებაყოფლობითობაზე და თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული კავშირი,მაშინ რატომ არ აქვს მამაკაცს განქორწინების უფლება? აქ უკვე ირღვევა თანასწორობის პირნციპი.მაგრამ,სხვა კუთხით აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც,რომ საუბარია მომავალ ბავშვზე და არასრულწლოვან 1 წლამდე ბავშვზე,რომლის ინტერესებიც დაცულია და მას სჭირდება რჩენა და არსებობა,რასაც ახალი ნამშობიარები ქალი ვერ შეძლებს.მაგრამ მაინც,მიმაჩნია,რომ საჭიროა კანონში კორექტირების შეტანა ამ საკითხთან დაკავშირებით,რადგან მეუღლის(მამაკაცის)უფლებები,კერძოს ნებაყოფლობითობა და თანასწორუფლებიანობა,საკმაოდ ირღვევა.

6) ნაშრომში განხილული მაქვს მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობები,როგორიცაა უძრავი ქონება და მასზე წარმოშობილი ვალდებულებები.აღნიშნული მაქვს,რომ თანაზიარი საკუთრება ეს არის ქორწინებაში შეძენილი ქონება,რომელიც საერთო სახსრებით აქვთ ნაყიდი.ასევე 1160 მუხლის თანახმად, არ ვიცით იმ მეუღლის ბედი,რომელიც არის საერთო ქონების მესაკუთრე,მაგრამ რეგისტრირებული არაა.ამის გამო მას არანაირი უფლება არ წარმოეშობა ამ თანაზიარ საკუთრებაზე.აქედან გამომდინარე,ვფიქრობ,რომ ,როდესაც არსებობს თანაზიარი ქონება,აუცილებელია ორივე მეუღლე იყოს დარეგისტრირებული როგორც მესაკუთრე.ამის გამო,ამ ნორმის გადახედვა და შესწორება,ვფიქრობ აუცილებელია.

7) ქორწინების აუცილებელი პირობაა მისი დარეგისტრირება,სხვა შემთხვევაში ის არ არის კანონიერი და ვერ ისარგებლებს ვერანაირი სამართლებრი კანონებით.ნაშრომში ბევრჯერ მაქვს ყურადღება გამახვილებული ქორწინების სამართლებრივ საკითხებზე. აუცილებელია,მისი დარეგისტრირება სარეგისტრაციო ორგანოში,წინააღმდეგ შემთხვევაში არც ქონებრივი და არც სამართლებრივი უფლებები არ წამოიშობა მათ შორის.

საბოლოოდ მინდა შევაჯამო ნაშრომი და დავაფიქსირო ჩემი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს არის თემა, რომელიც დღეს, ყველასთვის აქტუალურია და პრაქტიკაში თითქმის ყველა იყენებს ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად. სიღრმისეულად გავარკვიე თითოეული მუხლის შინაარსი,რომელიც ჩემს ნაშრომს უკავშირდებოდა და გამოვიტანე დასკვნა,რომ დღეს მეუღლეების უფლებების მთავარი პრინციპი არის პატივისცემა და სიყვარული,ერთმანეთზე ზრუნვა,ოჯახის სიყვარული და იმის გააზრება ,რომ ოჯახი არის ძალიან მნიშვნელოვანი და მეუღლეების მოვალეობაა მასზე ზრუნვა და პატივისცემა.

მთავარი მოტივი არის, თანასწორუფლებიანობა და თავისუფლება.დღეს ქალიც და კაციც,ორივე თანასწორია და ერთნაირი უფლებით სარგებლობს კანონის წინაშე,და არაამარტო კანონის წინაშე. ოჯახში,ბავშვის მიმართ და ყველანაირი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ერთობლივად.სამწუხაროდ წლების წინეს ასე არ იყო,და ქალი საკმაოდ დაჩაგრული იყო ქმრის ოჯახში. მაგრამ დღეს, ჩვენ ვცხოვრობთ ოცდამეერთე საუკუნეში,სადაც ყველანაირი პირობა გგვაქვს იმის,რომ ჩვენი ქორწინება იყოს გააზრებული,კანონიერი და იმ პრინციპებზე დამყარებული რაც ყველა ოჯახში უნდა არსებობდეს. ასეთი ქორწინებები არ სრულდება განქორწიებით,მაგრამ თუ განქორწინების საჭიროება დადგება,ესეც სამართლებრივად უნდა მოხდეს და ასევე დაცული უნდა იყოს ყველა პირობა ორივე წყვილის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი .

საქართველოს კონსტიტუცია

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. შალვა ჩიკვაიშვილი,საოჯახო სამართალი,თბილისი 2004;

2. რ.შენგელია,ქორწინება და მეუღლეთა უფლება მოვალეობანი,თბილისი 1999;

3. ი.ფუტკარაძე,ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით,თბილისი 1977;

4. რომან შენგელია,ეკატერინე შენგელია ,საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.თბილისი 2015;

5. ნადარეიშვილი ,ქართული საოჯახო სამართლის ისტორია,თბილისი 1965;

6. ლ.ჭანტურია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.თბილისი 2011;

7. ვალერიან მეტრეველი,ქართული სამართლის ისტორია ,თბილისი 2003;

8. იურიდიული ენციკლოპედია;

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე თბილისი 2003;

10. მ.ბექაია.ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები,თბილისი 1980;

11. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი.წიგნი მეორე;

12. ივ.ჯავახიშვილი,ენციკლოპედიური ლექსიკონი,თბილისი 2002;

13. ი.დოლიძე,ძველი ქართული სამართალი,თბილისი 1953;

14. ნ.შოშიაშვილი,მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები სანივთო პრაქტიკაში,თბილისი 2004;

15. ლ.შოშიაშვილი,ქორწინება და მეუღლეთა უფლება -მოვალეობანი რომაულ და ძელ ქართულ სამართალში,თბილისი 2003;

16.ს.ჯორბენაძე ,საოჯახო სამართლის საფუძვლები კრებულში"სამართლის საფუძვლები"თბილისი 1977;

17. თ.ზარანდია.ტიპიური ხელშეკრულების ნიმუშები,თბილისი 2006;

18. ო.ზოიძე,ქართული სანივთო სამართალი,თბილისი,2003;

უცხოენოვანი ლიტერატურა

19. Л Морган Древнее обииество, М., 1936, с 200;

20. Кородкова Л. П, Необходимо универсальное понятне семье, «Правоведение» 1980, с 63;

21. Антокольская М. В. Семеное Право, М., 1996, с 125;

22. Комментарии К Семеиному кодексу РФ/ Под. Ред. кузнецова И. М. М., 1996, с 10;